# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 25 სექტემბერი, 2010 წელი.

№179 (6545)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ჯავახეთი და ბორჩალო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედს გაიზიარებენ?




②




## ცრუპატრიოტები



③-④

## 27 სექტემბერი – ⑤ ამ დღეს სოხუმი დაეცა!

## გატრამვებული საქართველო,



## ანუ ვინ გაყიდის ხაჭაპურს „ტრამვ ტაუერთან“ ③-④

## როცა ჯარისკაცი ფიქრს იწყებს ⑧

## სააკაშვილი რუსეთში ხელისუფლების სისტემას „ააშკარავებს“ ⑧

## ვის სურდა აეშენებინა ანქვაბი? ⑦



## ხალიჩაზე დუნდულები „ზიან“ ⑩



## და ზიანს აყენებენ საჭიდაო სამყაროს

**რუსული გეგმა**

# ჯავახეთი და ბორჩალო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედს გაიზიარებენ?

**რატომ არ მოსწონს საქართველოს 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის ჩატარების იდეა, რა ელის მას იმ შემთხვევაში თუ საქართველო „ჩერქეზი ხალხის“ გენოციდს აღიარებს, როგორ აპირებს რუსეთი საქართველოს დასჯას და როგორ „გაუდგება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გზას ჯავახეთი და ბორჩალო“. სტატია, სათაურით „რატომ არ აწყობს საქართველოს სოჭის 2014 წლის ოლიმპიადა“, სადაც აღნიშნულ თემებზეა საუბარი, რუსი სამშვიდობოებების საიტზე გამოქვეყნდა.**

სტატიაში რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების ბიუროს ხელმძღვანელი ალექსანდრე ბორტნიკოვი საუბრობს, რომ მისი უწყება ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ოლიმპიადის ჩაშლა იგეგმება. მისივე თქმით, ტერაქტების მოხდენის ალბათობის ფაქტორმა, შესაძლოა, სერიოზული გავლენა მოახდინოს სოჭში ოლიმპიური თამაშების მომზადებასა და ჩატარებაზე. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

ამასთან ერთად, ფედერალური უსაფრთხოების ბიუროს ხელმძღვანელი ბორტნიკოვი არ აკონკრეტებს თუ კერძოდ საიდან მოდის ოლიმპიადის ჩაშლის საფრთხე. ექსპერტთა აზრით, შესაძლოა ოლიმპიადის ჩატარებას საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები ემუქრებოდნენ, ისეთები როგორებიცაა „ალ-ქაიდა“ და კავკასიელი ექსტრემისტები.

რუსული მედია ასევე წერს, რომ ოლიმპიადის ჩატარების ყველაზე თანამიმდევრული მოწინააღმდეგე საქართველოა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ამ ქვეყნის ხელისუფლებამ დაიწყო აქტიური საინფორმაციო კამპანია, რომელიც სოჭის 2014 წლის ოლიმპიური თამაშების ჩაშლისკენაა მიმართული.

ამას გარდა, რუსული მედია ასევე წერს, რომ 2009 წლის აგვისტოში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მიმართა და რუსეთისათვის ოლიმპიადის ჩატარების უფლების ჩამორთმევა მოითხოვა. ხოლო მას შემდეგ რაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ეს თხოვნა არც კი განიხილა, საქართველომ გადაწყვიტა სხვა გზით ევლო.

საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს კარგად ესმის, რომ ოლიმპიადის სოჭში ჩატარება იქნება მსოფლიო საზოგადოების ირიბი მხარდაჭერა რუსეთისადმი მის მიერ კავკასიაში გატარებული პოლიტიკისა, სწორედ ამიტომაც ცდილობს იგი, შექმნას უარყოფითი იმიჯი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქის მიმართ.

ამის გამო, ქართული მხარის მხრიდან გამუდმებით არის მცდელობები მაქსიმალურად დაძაბოს მდგომარეობა კავკასიაში. ბოლო დროის განმავლობაში ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ საზღვრებზე გახშირდა პროვოკაციები ქართველი სამხედროების მონაწილეობით.

ამას გარდა, საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომი გააჩაღა ლოზუნგით „მოსკოვის მიერ ჩაგრული კავკასიის ხალხების უფლებების დასაცავად“. პირველ რიგში საუბარი მიდის ე.წ. ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღიარების საკითხზე.

საქართველოს პარლამენტი აპირებს განიხილოს საკითხი XIX საუკუნეში თითქოს მომხდარი ჩერქეზი ხალხის გენოციდის შესახებ, რომელიც თითქოს რუსეთის იმპერიამ მოაწყო. ასევე ფიგურირებს საკითხი ადიღეელი ხალხის გენოციდის აღიარების შესახებაც.

მიუხედავად „ჩერქეზი ხალხის ისტორიის“ დამცველების ასეთი აქტიურობისა, რუსეთის მიერ „ჩერქეზების გენოციდის“ აღიარების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, ვინაიდან ასზე მეტი წლის წინათ მომხდარი მოვლენები, არაფრით არ შეესაბამება სულ რაღაც ნახევარი საუკუნის წინ ჩამოყალიბებულ ამგვარი ქმედებების საერთაშორისოდ აღიარებულ განსაზღვრებას.

საქართველოსათვის ე.წ. ჩერქეზი ხალხის აღიარების საკითხი საკმაოდ გემრიელი ლუკმაა — ამ ლუკმით იგი ერთბაშად ორ კურდღელს კლავს — საერთაშორისო არენაზე რუსეთის იმიჯს აფუჭებს და ოლიმპიადის ჩატარებას საფრთხეს შეუქმნის და თავის პარტნიორს აშშ-ს მისცემს მოსკოვზე ზეწოლის კიდევ ერთ ბერკეტს. ამასთან ერთად შექმნის არასტაბილურობის კერას რეგიონში და მომავალი რევანშისათვის ნიადაგს მოამზადებს.

**მხოლოდ, ვიდრე ამ ავანტიურისტულ გეგმებს აშენებს, საქართველოს არ უნდა დაავიწყდეს თუ რით დასრულდა მისი წინა ავანტიურა 2008 წლის აგვისტოში. მან უნდა გათვალოს „ჩერქეზების გენოციდის“ აღიარების შესაძლო შედეგები. ამგვარი გადაწყვეტილების შედეგი კი ცხადია.**

უპირველეს ყოვლისა, განაწყენდება მეზობელი სომხეთი. ისიც ხომ უკვე საკმაოდ დიდი ხანია აყენებს საკითხს ოსმანური თურქეთის მიერ სომხების გენოციდის აღიარების შესახებ, რომელიც „ჩერქეზების გენოციდისაგან“ განსხვავებით მძლავრი დამადასტურებელი ფაქტების ბაზითაა აღჭურვილი.

**სომხების განაწყენება ამ შემთხვევაში საფუძვლიანი იქნება და უცილობლად მივა საქართველოს რეგიონში ჯავახეთში სერიოზულ პრობლემებამდე, სადაც ოდითგანვე სახლობენ სომხები. ჯავახეთიდან ისედაც ხომ გამუდმებით ისმის ავტონომიის, ფედერაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოთხოვნები.** ადვილი შესაძლებელია წარმოიდგინო თუ რა მოხდება იმ შემთხვევაში თუკი ამ მოთხოვნებს უკვე მხარდაჭერა სომხეთიდან ექნება.

**საქართველოს სომხებთან პრობლემას ზედ დაემატება საქართველოს აზერბაიჯანელების პრობლემაც, რომლებიც ბორჩალოში — საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე სახლობენ, იქ მოსახლე აზერბაიჯანელების რაოდენობა 50 დან 80 პროცენტამდეა.**

**2008 წლის აგვისტომდე ისინი საქართველოს ხელისუფლებისაგან მხოლოდ ეკონომიკურ თანასწორუფლებიანობასა და აზერბაიჯანული ენისათვის რეგიონალური სტატუსის მინიჭებას მოითხოვდნენ. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი ძირეული გარდატეხა მოხდა და ახლა უკვე მათ ძირითად მოთხოვნებს ბორჩალოსათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭებაც დაემატა.**

**მოვლენათა გარკვეული მიმართულებით განვითარების შემთხვევაში სიტუაცია ჯავახეთსა და ბორჩალოში აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის გზას დაადგება.**

ამას გარდა, ნაკლებსავარაუდოა, რომ თავად საქართველოს შიგნით კარგად იქნეს აღთქმული აქტიური მცდელობები დამეგობრებისა იმათთან, ვინც 1992-93 წწ. აფხაზეთის მხარეს საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა. მაშინ აფხაზურ მხარეს ძალიან აქტიურად ეხმარებოდნენ ჩერქეზი მოხალისეები. ამგვარი განხეთქილება ოპოზიციის გაძლიერებისათვის ყველა წინაპირობას შექმნის.

**და კიდევ ერთი, საქართველო სამუდამოდ უნდა დაემშვიდობოს იმედებს „რუსეთთან მოლაპარაკების“ შესახებ რა თემაც არ უნდა იყოს ეს. ამასთან ერთად ასევე გაიზრდება ალბათობა იმისა, რომ უფრო გამკაცრდეს რუსეთის მხრიდან „საქართველოს პრობლემის“ გადაჭრის შანსი.**



**კომენტარი**

**აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ჯი-ეიჩ-ენი“ კავკასიის საკითხებში ექსპერტ მამუკა არეშიძეს ესაუბრა.**



**— ბატონო მამუკა, რამდენად რეალურია რუსული მხარის მუქარა, რომ შესაძლოა ბორჩალომ (ქვემო ქართლიძ და ჯავახეთმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ბედი გაიზიაროს?**

— ეს არის ვირტუალური იდეა, რომელიც კრემლში ჩამოყალიბდა და რომელსაც საფუძველი არა აქვს. ყოველ ჯერზე ამაზეა ლაპარაკი მუდმივად. ამჯერად საუბარია მარტო ბორჩალოსა (ქვემო ქართლიძ და ჯავახეთზე, მაგრამ უფრო პოპულარულია აჭარისა და სამეგრელოს ხსნება. ამ შემთხვევაში მხოლოდ პირველი ორია ნახსენები.

ვიდრე განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, ბორჩალოს თემა გამორიცხულია. აზერბაიჯანზე, ერთი შეხედვით, ძალიან არის საქართველო დამოკიდებული. ამავე დროს, აზერბაიჯანსაც აქვს თავისი კონკრეტული ინტერესები ენერგომატარებლების სისტემაში, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის. აქედან გამომდინარე, ორივე მხარე დელიკატურად უდგება თავისი ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მდგომარეობას ცალკე ქვემო ქართლში და ცალკე საინგილოში.

რაც შეეხება ჯავახეთს, რასაკვირველია, აქ მეტი გავლენა აქვს რუსეთს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯავახეთში დღემდე ცხოვრობენ ის ადამიანები, ვინც მუშაობდა რუსულ ბაზებში და სავარაუდოდ, მათზე გავლენა უნდა ჰქონდეთ. ასეთი კი ათას კაცზე მეტია. მეორე მხრივ, საქართველოს ხელისუფლება გარკვეული წარმატებით ფლობს იქ სიტუაციას, ასე რომ, ჯავახეთში „წყლის ამღვრევა“ ასე იოლი და მარტივი არ არის. თუმცა, რასაკვირველია, რუსეთი შეიძლება რომ ამას შეეცადოს.

**— პოლიტიკურად რამდენად გამართლებულია საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზი ხალხის გენოციდის აღირება?**

— მე არ ვარ გენოციდის აღიარების მომხრე, თუნდაც იმიტომ, რომ ბუნებრივი შეკითხვა გაუჩნდებათ სომხებს, - თუ იმათი გენოციდი აღიარეთ, ჩვენი რატომ არა? სომხებს სერიოზული არგუმენტები უჭირავთ. მათი გენოციდის საკითხი საფრანგეთის პარლამენტმა აღიარა — ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესმა ორგანომ.

ასეთ შემთხვევაში ჩვენ აღმოვჩნდებით უხერხულ მდგომარეობაში. ვფიქრობ, ეს საკითხი გულისხმობს სერიოზული შესწავლის პროცესს. სიტყვა „გენოციდს“ არ ვხმარობ — მე ვხმარობ შემდეგნაირ ფორმულირებას, რომელიც უნდა მიიღოს პარლამენტმა: ეს არის ჩერქეზების, აფხაზებისა და სხვა ჩრდილოკავკასიელი ერების ტრაგედია, რაც მოხდა მე-19 საუკუნეში და რაც მოხდა მე-20 საუკუნის 40-იან წლებში. გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ არანაკლები ტრაგედია დაატყდათ ქართველ მუსულმანებს და იმ პერიოდში არანაკლები ქართველი მუსულმანი გაასახლეს საქართველოდან. ასე რომ, ეს არის კომპლექსური საკითხი, რომელიც კომპლექსურად უნდა იქნას შესწავლილი. საკითხის შესწავლის პროცესი ორიენტირებული უნდა იყოს ამ ტრაგედიის მიზეზებისა და შედეგების დადგენაზე და ჩერქეზი ხალხი იქნება, აფხაზი თუ ჩეჩენი, მორალური დაკმაყოფილება უნდა მიიღოს.

რაც შეეხება სიტყვა „გენოციდს“, მისი ხმარება საფრთხილოა. ჯერ ერთი, სიტყვა „გენოციდი“ შეიქმნა 1943 წელს და ტრაგედია უფრო მეტის მომცველია. იგი გულისხმობს ეთნოწმენდასაც, გენოციდის საკითხებსაც და სხვასაც. ამიტომ ჯობს, ამ შემთხვევაში ეს ტერმინი ვიხმაროთ, რადგან ის არ არის პოლიტიკური. პოლიტიკური ტერმინის გამოყენების შემთხვევაში გვექნება პრობლემები სომხეთთანაც, რუსეთთანაც და სხვებთანაც.

**— ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია ,ჯავახეთის საკითხმა წამოიწიოს?**

— რასაკვირველია, შეიძლება გააქტიურონ. თუმცა თუ დასჭირდა რუსეთს ჯავახეთის საკითხის გააქტიურება, ჩერქეზების გენოციდის მიღების გარეშეც შეუძლია. ვიმეორებ, ძალიან გაუჭირდება, მაგრამ შეუძლია.

**— წერილში, რომელიც ე. წ. რუსი სამშვიდობოების ვებგვერდზე გამოქვეყნდა, საუბარია, რომ სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის ჩაშლა საქართველოს ინტერესებში შედის...**

— საქართველოს ხელისუფლების ორიენტირი არ უნდა იყოს ოლიმპიადის ჩაშლა, რადგან ეს არ არის სწორი მიდგომა და მსოფლიო საზოგადოება ამას მართებულად ვერ გაიგებს. საქართველოს ორიენტირი შეიძლება იყოს მხოლოდ ჩერქეზი, კავკასიელი ხალხების მხარდაჭერა მათი კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ყველაზე მომგებიანი და სწორი იქნება არა სიტუაციის არევა საქართველოში, არამედ ჩერქეზების გარკვეული პრეტენზიების დაკმაყოფილება. ეს მათ ხელეწიფებათ.

**საერთაშორისო კონფერენცია**

## ომბუდსმენის ინსტიტუტი და ადამიანის უფლებათა დაცვა

**საქართველოს სახალხო დამცველის ორგანიზებით, სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ომბუდსმენის ინსტიტუტის როლი და გავლენა ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე“.**

კონფერენცია მიეძღვნა სმოლენსკის ტრაგედიის დროს დაღუპული პოლონეთის ომბუდსმენის, დოქტორ იანუშ კოჩანოვსკის ხსოვნას. სპეციალურ სტუმრად მიწვეული იყო პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ურსულა დოროშევსკა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში, ევროკავშირის ელჩი საქართველოში პერ ეკლუნდი, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ეროვნულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის დირექტორატის ხელმძღვანელი მარკუს იაგერი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი და სპეციალური სტუმარი, პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ურსულა დოროშევსკა.

მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სმოლენსკის ტრაგედიის დროს დაღუპული პოლონეთის ომბუდსმენის, დოქტორ იანუშ კოჩანოვსკის ხსოვნას.

პირველ დღეს განიხილეს ომბუდსმენის როლი არსებული კანონმდებლობის და პრაქტიკის ზედამხედველობაში; ომბუდსმენის მოდელები: ომბუდსმენისთვის სასამართლოების პროცედურული და ადმინისტრაციული საქმიანობის მეთვალყურეობის ძალაუფლების მინიჭების დადებითი და უარყოფითი მხარეები: რომელი იქნება უფრო ქმედითი გარდამავალ პერიოდში.

იხ. 5 გვ.

## თემის გაგრძელება

# ცრუპატრიოტები

**პატრიოტი რომ იყო, ამისთვის მხოლოდ სამშობლოს სიყვარული არ კმარა. პატრიოტი რომ იყო, ამისთვის აუცილებელია სამშობლოს შეგნებული სიყვარული. ეს ერთი სიტყვა (შეგნებული) ქმნის და იძლევა იმის გარანტიას, რომ იმ ადამიანის ყოველი ნაბიჯი, ვინც სამშობლოს სახელით რამე კონკრეტულ ქმედებას მიმართავს, სამშობლოს მართლაც საკეთილდღეოდ წაადგება. ისტორიაში (თუნდაც, საქართველოს ისტორიაში) უამრავია მაგალითი იმისა, ვითომ სამშობლოს საკეთილდღეოდ მიმართულმა ქმედებებმა ქვეყანა დანგრევამდე რომ მიიყვანეს...**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვკითხულობ სააგენტო „პირველის“ მიერ გავრცელებულ იმ მიმართვის ტექსტს, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს რამდენიმე თანამემამულეს რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევისთვის გაუგზავნია.

ვნახოთ, რა წერია ამ წერილში: **„დროა, თქვენმა ქვეყანამ გაიგოს, რომ იქნება თუ არა მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი, ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, ხალხის უმრავლესობამ კი თავისი სათქმელი არჩევნებზე ორგზის თქვა, მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი მანდატის ამოწურვამდე იქნება!“**




რაც ამ წინადადებაში წერია, თითქმის ყველაფერი სწორია. სწორია ის, რომ თუ ვინ იქნება საქართველოს პრეზიდენტი, ეს ქართველი ხალხის გადასაწყვეტია; სწორია ისიც, რომ ქართველმა ხალხმა ორჯერ აირჩია სააკაშვილი პრეზიდენტად და, შესაძლებელია ისიც სწორია, რომ იგი მანდატის ამოწურვამდე საქართველოს პრეზიდენტი იქნება. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ამ წინადადებაში თითქმის ყველაფერი სწორი წერია, ეს წინადადება თავიდან ბოლომდე არასწორი პათოსით, ყოვლად გაუმართლებელი მუქარითა და არაფრისმომცემი დაქადნებითაა გაჟღენთილი, ანუ ამ წინადადებაში (ისევე, როგორც მთელ წერილშიძ კიდევ ერთხელ არის გამჟღავნებული პათოლოგიური ცრუპატრიოტიზმის ის სამარცხვინო სენი, ზემოთ რომ ვახსენებდით. წესით, ამ წერილში ზემოთ მოხმობილი ციტატის ნაცვლად სულ სხვა (დიამეტრალურად განსხვავებულიძ რამ უნდა ეწეროს. კერძოდ, უნდა ეწეროს ის, რომ, მართალია, ქართველმა ხალხმა პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი აირჩია, მაგრამ მოხდა ისე, რომ მიხეილ სააკაშვილმა ვერ შეძლო ქართველი ხალხის მისწრაფებებისა და მიდრეკილებების შესაბამისი პოლიტიკის გატარება. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 2008 წლის აგვისტოში მან წამოიწყო ბინძური პროვოკაცია როგორც საკუთარი ხალხის, ასევე რუსეთის წინააღმდეგ და შექმნა მთლიანად რეგიონის საომარ მოქმედებებში ჩათრევის რეალური საფრთხე. ამიტომ სწორია რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გაწყვიტოს ურთიერთობა სააკაშვილთან, მაგრამ საქართველო ხომ მხოლოდ სააკაშვილი არ არის, აქ ცხოვრობს ქართველი ხალხი, ვისთვისაც ძვირფასია რუსეთთან ურთიერთობა, რუსულ კულტურასთან ზიარება და ვინც იცის რუსეთთან მეგობრობისა და პარტნიორობის ფასი და ა.შ. და ა.შ. აი, ამ წინადადებაშიც ხომ ყველაფერი მართალია?! თანაც ასეთი ტონალობითა და ასეთი პათოსით შესაძლებელია მართლა მიაღწიო მიზანს, თუმცა... საკითხავია, რა არის მიზანი?..

ნებისმიერ წერილს, და, მით უმეტეს მას, რომელსაც უცხო ქვეყნის პრეზიდენტს უგზავნი, ყველა შემთხვევაში, რაღაც მიზანი უნდა ჰქონდეს. იმ პათოსს, რომელიც მე სამაგალითოდ შემოგთავაზეთ, დაწერს ისეთი ადამიანი (ან, ადამიანთა ჯგუფიძ, ვისაც რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორების ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო საქმეში რაღაც კონკრეტული წვლილის შეტანის მიზანი ექნება, მაგრამ ადამიანი (ან ადამიანებიძ, ვისაც რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის მოწესრიგება, უკაცრავად პასუხია და, ფეხებზე ჰკიდია (რაც საქართველოს ბედისა და მომავლის ფეხებზე დაკიდებას ნიშნავსძ, სწორედ იმგვარ წერილს დაწერენ, როგორი წერილიც საქართველოდან გაქცეულმა ვინმე **მედეა თუშმალიშვილმა, რევაზ ბოჭორიშვილმა, დოდონა კიზირიამ, ირაკლი ხიზანიშვილმა, ვიქტორ დომუხოვსკიმ, რეზო სირაძემ და მაია სიმონიამ** დაწერეს. თუკი წერილი, ვისაც მას ვუგზავნით, ადრესატს მხოლოდ შეურაცხყოფს, ცხადია, ამგვარი წერილის მიზანს არ შეიძლება შეადგენდეს ვითარების გამოსწორება. მაშინ, რისთვის იწერება ასეთი წერილი, რა მიზანს ისახავს და რას შეიძლება ემსახურებოდეს იგი?

დარწმუნებული ვარ, რომ წერილის ავტორებს იგი ადრესატისთვის არც გაუგზავნიათ, ისინი ადგნენ, შეთხზეს ეს სრული სისულელე და იგი ქართულ მედიაში გაავრცელეს, ანუ გაავრცელეს იმ ხალხსა და საზოგადოებაში, ვისთანაც პოლიტიკურ-პატრიოტული ქულების ჩაწერა განიზრახეს, – შეხედეთ, ჩვენ რა მაგარი პატრიოტები ვართო, – უთხრეს მათ, თავიანთი ჭკუით, ქართულ საზოგადოებას. დავუშვათ, დღეს ქართული საზოგადოებრივი ცნობიერება ისეთ სავალალო ნიშნულზეა ჩამოსული, რომ იგი ამგვარ ჩიტის საკენკს ვიღაცა ცრუპენტელებს პატრიოტიზმში ჩაუთვლის. ასეთ შემთხვევაშიც ამგვარი წერილის დაწერა სისაძაგლეა და სხვა არაფერი, რადგან მას ამ ვითარებაში წერილის ავტორებისთვის (მათი ჭკუითძ სიკეთე ქვეყნისთვის მოტანილი ზიანის ხარჯზე მოაქვს.

რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ მათ ქართველ ხალხთან სადავო და, მით უფრო, საომარი არაფერი აქვს, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობებისთვის დამანგრეველი ფაქტი, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, მხოლოდ სააკაშვილის პროვოკაციულ მოქმედებაზე გაცემული აუცილებელი პასუხი იყო და არა ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული აგრესია. დიახ, რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები ასე განმარტავენ იმას, რაც მოხდა. არა მარტო განმარტავენ, ასეც არის, მაგრამ თუკი საქართველოდან კრემლში ისეთი შინაარსის წერილები იდენს, როგორსაც ეს ქალბატონები და ვაჟბატონები თხზავენ, მაშინ რუსეთის ხელისუფლების სრულიად ლოგიკურმა აგრესიამ შეიძლება საქართველოს ხელისუფლებიდან საქართველოს მოსახლეობისკენ გადაინაცვლოს, რაც იმისი ნიშანი იქნება, რომ საქართველო არათუ ამ დროისთვის დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დაიბრუნებს, მომავალშიც ბევრ ტერიტორიას დაკარგავს და, საერთოდ, დაიშლება.

დააკვირდით, ქვეყნისთვის როგორი რისკის ფასად აპირებენ ეს ვაჟბატონები და ქალბატონები იმ საცოდავი პოლიტიკური ქულების ჩაწერას და სააკაშვილის წინაშე ლიქნის საფასურად მიღებული სამარცხვინო ნამცეცების მოპოვებას.

**„საქართველოში არ არის** (უნდა იყოს, არ არიან – **ვ.კ.**ძ **რუსეთზე ორიენტირებული ისეთი სერიოზული პოლიტიკური ძალები, რომლებიც არჩევნების გზით გამარჯვების მიღწევას შეძლებენ“,** – წერენ ისინი.

ამ დროს საქართველოში არიან ძალიან სერიოზული პოლიტიკური ძალები, რომლებიც რუსეთზე კი არ არიან ორიენტირებული, არამედ რუსეთთან კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობების აღდგენის გზით საქართველოს გადასარჩენად არიან ორიენტირებულნი.

იხ. 4 გვ.

## „უკან, უკან, მივალთ წინა“

# გატრამპებული საქართველო,

## ანუ ვინ გაყიდის ხაჭაპურს „ტრამპ ტაუერთან“

**როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზეა საუბარი, არ დაგიმალავთ და დღესაც კი გულში იმედის ნაპერწკალი მიჩნდება და ტანში ჟრუანტელი მივლის.**

დიახ, იმედის ნაპერწკალი, რადგანც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ მიტინგებზე მისულმა დავიჯერე, რომ ეს ორგანიზაცია იმდენად ძლევამოსილი, საქმიანი და უნარიანი იყო, რომ ბუტროს–ბუტროს გალი ერთს დაუცაცხანებდა კრემლში მოკალათებულ, იმპერიული იდეებით გაჟღენთილ „დერჟიმორდებს“ და საქართველო აყვავებისა და აღორძინების ნათელ გზას დაადგებოდა.



შემდეგ დავიჯერე, რომ საკმარისი იყო გაეროს ერთი მკაცრი რეზოლუცია და რუსული ჯარები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან, სულ თავქუდმოგლეჯილი გაიქცეოდნენ.

გგონიათ ვხუმრობ?

არავითარ შემთხვევაში!

მართლა მჯეროდა. თანაც არა მარტო მე. აბა თქვენს გულებში ჩაიხედეთ და თქვით, რა, თქვენც ჩემსავით გულუბრყვილოები და ე.წ. საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკურ შესაძლებლობებსა და მის ნამდვილ არსში გაუთვითცნობიერებელი არ იყავით?

სამწუხაროდ, ასე იყო და სანამ მათი მხოლოდ „მშფოთვარე“ სხდომების ცქერა და ყოვლად უაზრო „რეკომენდაციების“ მოსმენა არ ამოგვივიდა ყელში, ვერ მივხვდით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და სხვა მრავალი მისი მსგავსი „საბჭო“, არაფერია, თუ არა მუწუკი იმ მსოფლიო პოლიტიკის სხეულზე, რომელმაც რეალური მშვიდობა, რეალური ეკონომიკური განვითარება, რეალური კულტურული ცხოვრება და სხვა მრავალი რეალური საქმე უნდა აკეთოს.

აქ არ ვილაპარაკებ იმ კორუფციაზე, რომელიც ამ ორგანიზაციებშია გაბატონებული. არ ვილაპარაკებ იმ ყოვლად უაზრო პროექტებზე, რომლებსაც ეს ორგანიზაციები ჩვენს საკეთილდღეოდ, ასე ვთქვათ „ანხორციელებენ“. არ ვილაპარაკებ იმ არაფრისმთქმელ დასკვნებსა თუ რეზოლუციებზე, რომლებიც მხოლოდ ქაღალდისა და საწერი მელნის წარმოების განვითარებას უწყობენ ხელს.

უბრალოდ ვიტყვი, რომ საქართველოში კიდევ მოიძებნებიან ისეთი გულუბრყვილო მოქალაქეები (თქვენ წარმოიდგინეთ და ხელისუფლებაშიცძ, რომელთაც კიდევ სჯერათ საერთაშორისო თანამეგობრობისა და იმედი აქვთ, რომ „უახლოეს პერიოდში ძირეული გარღვევა მოხდება ქართულ სინამდვილეში“.

ერთი ძალიან ძველი ანეკდოტი გამახსენდა (რა ვქნა, როცა ქართულ პოლიტიკაზე ვფიქრობ, არა აქვს მნიშვნელობა საგარეო იქნება ის, თუ საშინაო, სულ ანეკდოტები მახსენდებაძ: როდესაც სტალინმა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პროექტი საჯარო განხილვაზე გამოიტანა, მისმა ძველმა ნაცნობმა, საკმაოდ ძლიერმა იურისტმა წერილი გაუგზავნა, სადაც შეხვედრას სთხოვდა, რათა პროექტის მიმართ თავისი შენიშვნები და მოსაზრებები გაეზიარებინა.

სტალინმა საპასუხო წერილში უთხრა, თუ შენ თვლი, რომ მე კონსტიტუციის მიხედვით ვაპირებ ქვეყნის მართვას, მაშინ შენთან საუბარს არავითარი აზრი არა აქვს და თუ იცი, რომ მე კონსტიტუციით არ ვიხელმძღვანელებ, მაშინ რა შენიშვნებზე უნდა ვილაპარაკოთო.

ზუსტად ასეა ქართულ რეალობაშიც.

თუ ვიცით, რომ არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, თავიანთი რეზოლუციებით ვერანაირ დახმარებას ვერ გაგვიწევენ ვერც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში, ვერც სიღარიბის დაძლევაში და ვერც იმ უამრავ საჭირბოროტო საკითხში, რას დავრბივართ აქეთ-იქეთ და რატომ ვხარჯავთ უამრავ თანხებს არაფრისმომტან ვიზიტებში.

ბარემ ეს ჩვენი მთავრობის წევრები პირდაპირ წავიდნენ სხვადასხვა კურორტებზე და შემდეგ ტელევიზორებიდან იქაური „გულიანკების“ ამბები მოგვიყვნენ. ცოტას ჩვენც გავხალისდებით და თეორიულად მაინც გვეცოდინება, თუ რომელ კუნძულზე, როგორი „ნაშები“ არიან, ან რომელი კოქტეილის მირთმევა სჯობს ნაბახუსევზე, თორემ ამდენი დაპირება, იმედი და სხვადასხვა „გამოწვევა“, უკვე ჩვენც გვაბნევს და მათაც.

იგივე ანეკდოტი ზუსტად მიესადაგება ჩვენი კონსტიტუციის ახალ პროექტსაც, მაგრამ რადგანაც ამ წერილის თემა პრეზიდენტის „გაეროული“ ვიზიტებია, ამიტომ სხვა დროს იყოს (შეიძლებოდა სიტყვა „საგარეოც“ დამეწერა. რაღაც კარგად მიესადაგება, მაგრამ „გაეროული“ უფრო ზუსტად ჟღერსძ.

ის, რაც სააკაშვილმა გაეროში ორივე გამოსვლის დროს თქვა, ყველამ კარგად ვიცით და ყველანი ვეთანხმებით.

მართლაც ვერავინ ვერ იტყოდა უფრო უკეთესად და უფრო უაქცენტოდ, მაგრამ მერე რა?

ჩვენ ხომ „შედეგზე ორიენტირებული“ ხალხი ვართ?

შედეგი გვინდა, შედეგიიიიიიი!!!

რეალური შედეგი კი მხოლოდ დონალდ ტრამპთან შეხვედრის დროს დაინახეს. დაინახეს, ოლონდ „სხვებმა“.

ეს სხვები კი თავად ბატონი ტრამპი და „სილქ როუდ ჯგუფის“ წარმომადგენლები არიან.

იხ. 4 გვ.

## თემის გაგრძელება

(მესამე გვერდიდან)

წერილის ავტორები ამგვარ ძალებს აგდებით მოიხსენიებენ და რუსეთზე ორიენტირებულებს უწოდებენ, მაგრამ საქართველოს გადარჩენა, მისი ტერიტორიული გამთლიანება და პოლიტიკურ-ეკონომიკურ-მორალური გაჯანსაღება მხოლოდ იმ გზით იქნება შესაძლებელი, რა გზასაც სწორედ ის ძალები გვთავაზობენ, რომლებსაც წერილის ავტორები აბუჩად იგდებენ და ქირქილით მოიხსენიებენ. როგორ, ვითომ დაიჯერებს ქართველი ხალხი, რომ ოცი წლის წინ საქართველოს ხელისუფლების ამა თუ იმ საფეხურზე მყოფი ეს ადამიანები, ვინც თავიანთი უგუნური და უპასუხისმგებლო სიტყვითა თუ საქმით საქართველო სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანა, შემდეგ კი საქართველოდან მოქუსლა და, ახლა, საქართველოსა და რუსეთს შორის ისედაც მოწამლულ ვითარებას კიდევ უფრო წამლავს, სერიოზულ პოლიტიკურ ძალებს მიეკუთვნება, ხოლო ის ადამიანები, ვინც მათი და მათნაირი უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ნამოქმედარის შედეგად დანგრეული ქვეყნის მკვდრეთით აღდგენისთვის იღვწიან, არასერიოზული პოლიტიკური ძალები არიან?

# ცრუპატრიოტები



როგორ, თქვენი მონა-მორჩილი, ვინც პარტია „ნეიტრალური საქართველო“ დააფუძნა და მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან თანაბარი მშვიდობიანი და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას ქადაგებს, იმიტომ რომ ხედავს, ეს დაშლის გზაზე შემდგარი საქართველოს ხსნის ერთადერთი, უალტერნატივო გზაა, არასერიოზული პოლიტიკოსია და საქართველოდან გაქცეულნი და სხვის მიწა-წყლიდან კვლავაც იმ სისულელის მროშავნი, რა სისულელემაც საქართველო ამ უმძიმესი პრობლემების წინაშე დააყენა, სერიოზული მოღვაწენი არიან? არა, ბატონებო! არ შეიძლება ამის დაჯერება, რადგან ეს სიცრუეა, ტყუილია, მონაჩმახია! როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ამ ჩიტირეკია პოლიტიკოსებისთვის ეს ფაქტი, უკვე გამოჩნდნენ მართლაც სერიოზული მოღვაწენი, მამულიშვილები, რომლებმაც რეალობა რეალობად აღიქვეს, სამშობლოს ბედი საკუთარ პერსონაზე მაღლა დააყენეს და ის სათქმელი კი არ თქვეს, რაც ფსევდოპატრიოტების „ფილოსოფიის“ შესაბამისად, მათთვის სიკეთის მომტანი, ხოლო სამშობლოსთვის დამანგრეველი იქნებოდა, არამედ ის თქვეს, რაც სამშობლოს ჰაერივით სჭირდება.

ამ შემთხვევაში მათი პოზიცია თავგანწირვის ტოლფასია, რადგან საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის პირადი მიზანშეწონილობა ჭეშმარიტებაზე მაღლა დგას ჯერაც, რის გამოც ეს აგრესიული და უმეცარი ნაწილი საზოგადოებისა მუდმივად უპირისპირდება ჭეშმარიტ პატრიოტებს. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან საინფორმაციო საშუალებანი დღეს დეზინფორმაციის სამსახურში დგანან. ამიტომ უჭირს პარტია „ნეიტრალურ საქართველოს“ ფართო საზოგადოებამდე იმ იდეის მიტანა, რომელიც საქართველოს გადარჩენის იდეაა. ამიტომ უჭირთ საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტ ალექსანდრე ებრალიძისნაირ მამულიშვილებს მოსახლეობის ფართო ფენებამდე იმ ჭეშმარიტების მიტანა, რომ რუსეთთან კონფრონტაციის გზა, ანუ გზა, რომელსაც საქართველო ბოლო ოცი წელიწადის განმავლობაში ადგას, თავისი დამანგრეველი შედეგით არის საკუთარ თავთან კონფრონტაციის გზა, რომელმაც საქართველო ტერიტორიულ რღვევამდე, ეკონომიკურ კოლაფსამდე და მოსახლეობის მასობრივ ემიგრაციამდე მიიყვანა. უჭირთ, მაგრამ მაინც ამბობენ და მაინც მიიტანენ საჭირო სიტყვას მოსახლეობამდე, რადგან ამ სიტყვის, ამ ჭეშმარიტების მოთხოვნილება უკვე გაჩნდა ხალხში.

სიმართლის სურვილს, სიმართლის წყურვილს ახლა ვერაფერი ჩაკლავს საზოგადოებაში. საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესს უკვე მიაწყდა ხალხი. სულ რაღაც წელიწადნახევარში კონგრესმა ოთხასი ათას ადამიანზე მეტი წევრი შეიძინა.

ალექსანდრე ებრალიძეს საქართველოში ჩამოსვლის საშუალებას არ აძლევენ, მაგრამ ქართველი ხალხი დაიძრა მისკენ მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან.

ქართულ დიასპორათა მსოფლიო ფორუმს, რომელიც პეტერბურგში 25-26 აპრილს გაიმართა, ორი ათასზე მეტი დელეგატი დაესწრო. რუსეთის ქალაქებში საქართველოდან პირდაპირი საავიაციო რეისების არარსებობის გამო თბილისიდან ჩასული ასზე მეტი დელეგატი პეტერბურგში სხვადასხვა ქალაქის გავლით ჩავიდა — კიევიდან, რიგიდან, ვენიდან, მიუნხენიდან... და ეს მაშინ და იმ პირობებში, როცა საქართველოს ყველა სატელევიზიო არხი ამ ღონისძიების ჩაშლის გეგმის რეალიზებით იყო დაკავებული და შავი პიარის ნიაღვარი მოედინებოდა, რაც წალეკვით ემუქრებოდა ყველას და ყველაფერს, მაგრამ გონს მოსული და ქვეყნის გადასარჩენად აღძრული ხალხი, რომელიც არ შეეპუა ხელისუფლების არც მუქარას, არც შანტაჟს, დაიძრა პეტერბურგისკენ, რათა მტკიცედ დამდგარიყო იმ პოლიტიკურ პოზიციაზე, რომელი პოზიციაც ალექსანდრე ებრალიძემ საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის სახელით გააჟღერა: **ნეიტრალიტეტი, რუსეთთან ცივილიზებული, კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობის აღდგენა, ყველა ქვეყანასთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკურ-სულიერი აღორძინება და, პერსპექტივაში, ევროკავშირის წევრობა.**

ესაა ის პოლიტიკური სქემა, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალტერნატივა არა აქვს.

ეს პოლიტიკური ძალა, განსახილველი წერილის ავტორების აზრით, თურმე ანგარიშგასაწევი ძალა არ არის. მაშინ, ვკითხოთ პატივცემულ ავტორებს, რომელ ძალას მიიჩნევენ ისინი ანგარიშგასაწევად? — იქნებ, სააკაშვილს, რომლის ახლომხედველმა, პროვოკაციულმა და, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, მოღალატურმა პოლიტიკამ საქართველო სამ ნაწილად დაშალა. ან იქნებ თავიანთ თავს მიიჩნევენ იმ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად, ვინც ქვეყანას ამ უმძიმესი ვითარებიდან გამოიყვანს, რადგან მუქარით, ლანძღვით და სარკაზმით სავსე წერილით მიმართეს რუსეთის პრეზიდენტს, — ვაი თქვენს პატრონს, უბედურს! საქართველო უკვე რამდენჯერმე ააფორიაქა თქვენი ჭკუის პოლიტიკოსების ნამოქმედარით მოგვრილმა „ბედნიერების“ განცდამ. მსგავსი „ბედნიერება“ აღარ სურს ქართველ ხალხს. ამიტომ ხალხიც მოასვენეთ და თქვენც მოისვენეთ. მიხეილ სააკაშვილი თქვენ მარადიული მოვლენა გგონიათ, მაგრამ რეალურად უკვე მთავრდება არა მარტო სააკაშვილის, არამედ, საერთოდ, უვიცთა, უგუნურთა, ცრუპატრიოტთა და ავანტიურისტთა თარეში. პატრიოტობა, თქვენ რომ გულში მჯიღის ცემა და ხმამაღალი სიტყვების რახარუხი გგონიათ, სინამდვილეში, მძიმე შრომის, მაღალი ზნეობის, თავგანწირვის უნარისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების ნაზავია. პატრიოტიზმი გონიერთა არენა და გმირადშობილთა ძალისხმევაა.

ახლა ამგვარი პატრიოტობის დრო მოდის, ცრუპატრიოტთა დრო წავიდა. თქვენი უმწეო ფართხალი ის ამაო გარჯაა, იმ სამარცხვინო მერკანტილურ გულისწადილსაც ვერ რომ შეგისრულებთ, რითაც იყავით და ხართ შეპყრობილნი!

**ვალერი კვარაცხელია.**

## „უკან, უკან, მივალთ წინა“

# გატრამვაებული საქართველო

(მესამე გვერდიდან)

ბატონმა ტრამპმა განახლებული (ოღონდ ჯერ დაუმთავრებელი) ბათუმის შესახებ წინასწარ გაკეთებული ბუკლეტი ნახა. „სილქ როუდ ჯგუფის“ წარმომადგენლებმა კი ახალი ინვესტიცია მოიზიდეს.

სიღარიბეს, დევნილთა პრობლემებს, უმუშევრობას კი ჯერ არაფერი ეშველა.

ახლა არ მითხრათ, რომ მხოლოდ „ტრამპ ტაუერის“ მშენებლობა აკლდათ 28-ლარიან დახმარებაზე მყოფ უამრავ ადამიანს და განმუხურთან ჩასატარებელი MTV-ის კონცერტის მოლოდინში არიან აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებიო.

კარგია, ნამდვილად კარგია, რომ საქართველოში ეს მართლაც უდიდესი კომპანია შემოვა და ღმერთმა დამიფაროს ამას ვერ ვხედავდე, მაგრამ ფილმ „გიორგი სააკაძეში“ არის ერთი მეტად საინტერესო ფრაგმენტი. როდესაც გიორგი სააკაძეს რუსი ვაჭარი სიასამურის ბეწვის შემოტანაზე ესაუბრება, საქართველოს ახლა ზარბაზნები უფრო სჭირდებაო, პასუხობს სააკაძე.

საქართველოს ახლა ზარბაზნებიც სჭირდება, მაგრამ პირველ რიგში ის მცირე საწარმოები, რომელთა მფლობელებს უაზრო გადასახადებით კი არ დაატერორებენ, არამედ განვითარებისა და უფრო მეტი ხალხის დასაქმების საშუალებას მისცემენ.

კარგია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა. მართლაც კარგია იქ მოტრიალე დიდი ფულითა და ჩატარებული ოპერაციებით, მაგრამ ეგ ბირჟა, სულ „ცალ ფეხზე ჰკიდიათ“ „ელიავას ბირჟაზე“ მდგომ ხალხს და ლუკმაპურის გარეშე დარჩენილ უამრავ გარემოვაჭრეს.

ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ დიდ ინვესტიციებზე მიბმულ იმ ინფრასტრუქტურებზე, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება.

კარგით რა, რას „გვაბოლებთ“.

ახლა არ მითხრათ, რომ „ტრამპ ტაუერთან“ ვინმე თამარა ბებოს ხაჭაპურის გაყიდვის საშუალება ექნებაო.

ახალი სეზონის პირველ „პროფილში“ (რომელიც მართლაც ძალიან კარგი გამოვიდა), მაია ასათიანი ისე იქცეოდა, თითქოს უცხო პლანეტიდან ყოფილიყო ჩამოსული და ისეთ უაზრო კითხვებს სვამდა, რომ კინაღამ გააფუჭა ეს შესანიშნავი გადაცემა.

ძალიან უაზრო იყო კითხვა, თუ რატომ უსმენენ ქართველები რესტორნებში ქეიფის დროს „ტრულაილას“, „ჰარალეს“ და „აფრებს“.

აბა დედმამიშვილების სადღეგრძელოს დროს თუფაძს ან ლედი გაგას ხომ არ მოუსმენ? (ისე რა საინტერესოა, ვინმე თუ უსმენს ემინემს სამშობლოსა და პატარების სადღეგრძელოებს შორის? თუ ვინმეს გსმენიათ ასეთი ხალხის შესახებ, გთხოვთ გამაგებინოთ და ერთი კარგი წერილი ჰურმარილით, სადაც Rammstein-ის „საამო“ მუსიკას მოვუსმენთ, ჩემზე იყოსძ.

ზუსტად ასე უცხოპლანეტელებივით იქცევიან ჩვენი პოლიტიკოსებიც, როცა ამბობენ, რუსეთი გვიშლის ხელს რეფორმების გატარებაშიო.

თუ აკაკი მინაშვილს დავუჯერებთ, თურმე რუსეთმა უბიძგა ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს კორუფციული გარიგებებისკენ და რუსეთის ბრალი ყოფილა ლომაიას მიერ ჩატარებული განათლების რეფორმის სრული კრახი.

აბა თქვენა ხართ რა!

წერილს ასეთი ცუდი განწყობით ნამდვილად ვერ დავამთავრებ და ვიტყვი, რომ მთლად „გაჭირვებულებიც“ არ ვყოფილვართ.

ბატონმა ტრამპმა „მის სამყაროზე“ წარდგენილ მონაწილეებში, მართლაც რომ ძალიან ლამაზი ქართველი გოგონა გამოარჩია.

აქ კი მინდა ვთქვა, რომ თუ ჩატარდება კონკურსი ყველაზე ლამაზი ეკონომიკის ან ციხეების მინისტრის გამოსავლენად, პირველობა ნამდვილად ჩვენ დაგვრჩება (ეჰ, ჭიდაობაში აღარ გვიმართლებს და მეტი რაღა დაგვრჩენიაძ.

მაინც არ გამოვიდა არა კარგი „კანცოვკა“?

არა უშავს. ყველაფერი მაინც კარგად იქნება.

**გია გაბრიჭიძე**

## საერთაშორისო კონფერენცია

# ბოლოს და ბოლოს, იცავს ვინმე ადამიანის უფლებას?!

(მეორე გვერდიდან)

ამ საკითხებზე მოხსენებები წარმოადგინეს ესტონეთის რესპუბლიკის იუსტიციის მრჩეველმა ინდრეკ ტედერმა, სომხეთის რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დამცველმა არმენ ჰარუთუნიანმა, ესპანეთის მოქმედმა ომბუდსმენმა მარია ლუიზა კავა დე ლანომ, პოლონეთის სამოქალაქო უფლებათა დაცვის კომისრის ოფისის საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტის დირექტორმა მიროსლავ ვრობლევსკიმ, საქართველოს სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ზაზა მეიშვილმა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ შვედეთის, სომხეთის, ესპანეთის, ესტონეთის, ლიტვის, ლატვიის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანისა და სერბეთის ომბუდსმენები, პოლონეთის და ჩეხეთის ომბუდსმენების მოადგილეები, დანიის, ყაზახეთის, რუმინეთის, ალბანეთის და ბოსნია და ჰერცეგოვინას ომბუდსმენის ოფისების წარმომადგენლები, გერმანიის პარლამენტის წევრები, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლებრივ საკითხთა გენერალური დირექტორატის წარმომადგენლები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, საქართველოს პარლამენტის წევრები, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო მისიების, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კონფერენცია დააფინანსა ევროკავშირის პროექტმა „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“. პროექტს ახორციელებს „ჰუმან დაინამიკსი.“

**ნატა ნიბლაძე**

# 27 სექტემბერი – სოხუმის დაცემის დღე!

**სოხუმში, რკინიგზის სადგურთან ახლოს, მამაპაპისეული, მწვანეში ჩაფლული სახლ-კარი ჰქონდა დათო (თენგიზ) ქობულიას. იშვიათად შემხვედრია დათოზე უფრო კეთილშობილი, მეგობრული, ღიმილიანი კაცი. სოხუმში დაბადებულსა და გაზრდილს, ქართველებთან ერთად, მრავალი აფხაზი მეგობარი ჰყავდა. ამიტომაც, როცა ძმათამკვლელი ომი დაიწყო, ცოლი და დედისერთა ბიჭი იქაურობას გამოარიდა, თვითონ კი, აფხაზი მეზობლებისა და მეგობრების იმედად, მშობლიურ ქალაქში დარჩა...**

**ერთ ტრაგიკულ დღეს თბილისში შემაძრწუნებელი ამბავი მოვიდა: აფხაზ და ჩრდილოკავკასიელ კაციჭამიებს დათოსთვის თავი წაუჭრიათ, ეზოში დაუგდიათ და სახლ-კარიც ბოლომდე დაურბევიათო... ამოწყდა კიდევ ერთი ქართული ოჯახი, არაადამიანურად აწამეს კიდევ ერთი ქართველი კაცი... შიშმა და ძრწოლამ, დარდმა და ვარამმა სამუდამო კვალი დაამჩნია დათოს მეუღლის ლიას და ვაჟის — სოსოს ცხოვრებას. პატარა სოსოს, თითქოს, ასე ძლიერ არ უნდა განეცადა აფხაზეთის ტკივილი (მაშინ ის 9-10 წლისა იყო), მაგრამ... ყმაწვილის გონებაში ყველაფერი, ცუდიც და კარგიც, ორმაგად ილექება... დარწმუნებული ვარ, სოსო ქობულია სწორედ აფხაზეთის ტრაგედიის გამო, დედის შეუშრობელი ცრემლის გამო იყო ნაადრევად დაბრძენებული, გულჩათხრობილი ბიჭი, წარჩინებული მოსწავლე და სტუდენტი... ის-ის იყო დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი, ჯარშიც წავიდა მოხალისედ, შემდეგ აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაშიც დაიწყო მუშაობა, რომ... მართლაც ანგელოზივით ბიჭს უკურნებელი სენი შეეყარა და რამდენსამე თვეში გამოასალმა წუთისოფელს.**

**ძალიან მიჭირს ამ ტრაგედიაზე წერა...**

**„ჩემი აღსარება“ სოსოს ცხოვრებისეული კრედოა. როგორც ჩანს, 21 წლის ჭაბუკი გრძნობდა ამ წუთისოფლის სიმუხთლეს, რომ თავის წერილს „აღსარება“ დაარქვა...**

**სამწუხაროდ, ათი წლის შემდეგაც დიდი არაფერი შეცვლილა. ამიტომაც ვბეჭდავთ დღეს სოსოს თანატოლების განსასჯელად ყმაწვილი კაცის გულწრფელ ნააზრევს. წერილის მოწოდებისთვის მადლობას მოვახსენებ სოსოს ბაბუას, უშიშარ და რაინდ კაცს, აფხაზებსა და აფხაზეთზე შეყვარებულ მამანტი ჯოლიას.**

*სპარტაკ ქობულია*




## მართალი სიტყვა არ კვდება

# ჩემი აღსარება

ამჟამად,როცა რაიმე დარდი შემოგაწვება, როცა ეს დარდი გულს გიმღუღრავს,უმჯობესია შენი სატკივარი ვინმეს გაანდო. მეც ამ რჩევას დავუჯერებ და ჩემს ნაღველს გაგანდობთ.

მე, — სოსო ქობულიას, თსუ სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტს, მეამაყება, რომ ვარ ქართველი და როგორც ყველა ჭეშმარიტ პატრიოტს — არა მგონია ჩემზე მეტად ვინმეს უყვარდეს საკუთარი სამშობლო. ჩემი ცხოვრებისეული კრედოა „სამშობლო — უპირველეს ყოვლისა“. ალბათ, ამიტომაცაა, რომ 26 მაისს ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ვზეიმობ, ხოლო შემდეგ, თუ საშუალება მაქვს — ჩემს დაბადების დღესაც. ჩემი პატრიოტული ცნობიერება სწორედ დაბადების თარიღმა განსაზღვრა, და, რაღა თქმა უნდა, ოჯახმაც. მე ვიცი ერთი რამ: ვინც არ უნდა ვიყო, სადაც არ უნდა ვიყო, „ჯოჯოხეთშიც“ რომ მოვხვდე, მაინც ჩემი ქვეყნის აღორძინებისთვის ვიბრძოლებ. ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა საქართველო გახდეს ისეთი ქვეყანა, როგორიც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ეკადრება.

2000 წელს საქართველო ვერ შეხვდა ისე, როგორც — ეკადრებოდა. ისევ პრობლემებში ვიხრჩობით — იქნება ეს ტერიტორიული მოწყობა თუ სოციალური პრობლემები. ყოველივე ამის ფონზე, რასაც მე დღეს ხალხში ვხედავ, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, — ჩემი ასეთი სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმი — უკვე იდიოტიზმად მეჩვენება. ხალხი თითქოს მოწამლეს, არავის არ აინტერესებს ტერიტორიული მთლიანობა, თითქოს ყოველივე პატრიოტული ჩაკვდაო ამ ხალხში. სად დაიკარგა ქართული მეომრული სული, შეუპოვრობა?! ჩვენ ხომ ძირძველი ქართული ტერიტორიები გვაქვს დასაბრუნებელი, საამისოდ კი ფეხზე უნდა დავაყენოთ დაჩოქებული ქვეყანა.

მე მაინც ვფიქრობ, რომ არავის არ შეუძლია ქართველში ქართული სულის ჩაკვლა. ამ გრძნობის მიძინება, მინელება შესაძლებელია, მაგრამ ჩაკვლა, ჩაქრობა — არასოდეს! ჩვენ ხომ ის ერი და ქვეყანა ვართ, რომელმაც ამდენი ქარცეცხლი გამოიარა, რომელმაც მრავალი იმპერია მოინელა!

რა ხდება დღეს?! ჩვენ ნუთუ ისეთ დონემდე ვართ მისულები, რომ საკუთარი ჩრდილისაც გვეშინია — თურმე ყველაზე ლაჩრები, მოღალატეები, ურთიერთგატანის უნარის არმქონენი ვყოფილვართ!

არა, ეს შეუძლებელია, რადგანაც ჩვენ ქართლოსის, ფარნავაზის, ქუჯის, გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი ბრწყინვალის, გიორგი სააკაძის, ქეთევან წამებულის, თეიმურაზის, ცოტნე დადიანის, დემეტრე თავდადებულის, ერეკლე II-ის, ილია ჭავჭავაძის შთამომავლები ვართ. ჩვენ გვყოლია და გვყავს ბევრი შესანიშნავი პოეტი, მწერალი თუ ფილოსოფოსი... დღეს კი მათი სისხლით და ოფლით, უსახელო გმირების მარჯვენით შენარჩუნებულ საქართველოს, ქართველობას შველა, გადარჩენა და გაფრთხილება სჭირდება.

**„ჩონგური საქართველოა
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს
მაშინვე უნდა შველაო“...**

სამწუხაროდ, ცხოვრების ორომტრიალმა ისე მოიტანა, რომ დღეს აშკარად გადასარჩენი გვყავს საქართველოს ორი ძირძველი კუთხე — აღმოსავლეთში — სამაჩაბლო, დასავლეთში — აფხაზეთი. ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ისინი. მიზანი უნდა იყოს ერთი — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

მე მინდა მოვუწოდო ყველას — დათმონ პირადი ამბიციები, დაანებონ თავი პოზიცია-ოპოზიციობანას და გაერთიანდნენ ერთი საერთო, წმინდა მიზნის ქვეშ, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია!

ამ მიზნისკენ მიმავალი გზა ორია — მშვიდობიანი და ძალისმიერი. კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება საერთაშორისო სამართლის ნორმებით არის დეკლარირებული და, რაღა თქმა უნდა, ყველა ნორმალური ადამიანი მიესალმება კონფლიქტის უსისხლოდ დარეგულირებას. მაგრამ თვით ეს ნორმებიც იძლევა საშუალებას ძალით მშვიდობის აღდგენისა. ბოლოს და ბოლოს, ნათქვამია — „თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის!“ — და ამისთვის ყველა უნდა ვიყოთ მზად. ჯარში წასვლა სასჯელი კი არ უნდა იყოს, არამედ პატივი ყოველი ქართველისათვის, როგორც ეს ოდითგანვე მოგვდგამდა.



მინდა მივმართო სეპარატისტებს (და არა აფხაზებს), რომ შემოკრან განგაშის ზარები, ჩვენ მოვდივართ, აფხაზეთის ახალგაზრდობა, საქართველოს ახალგაზრდობა მოდის. მე არ დავტოვებ დაუმარხავს მამაჩემის ცხედარს, ისევე, როგორც ბევრი თქვენგანი საკუთარ მშობელს თუ ახლობელს — შემოვევლე მათ წმინდა სულებს.

მოლაპარაკებებზე დაპირისპირებულ მხარესთან უნდა მონაწილეობდნენ ჩვენისთანა ახალგაზრდები, რადგანაც თუ რაიმე კომპრომისზე და დათმობაზეა წასასვლელი, ჩვენზე მეტ დათმობაზე ვერავინ წავა.

მოვა დრო, ჩვენ დავბრუნდებით მშობლიურ კერებზე, ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენს ღვთივკურთხეულ მიწა-წყალს, ჩვენ მორალურად არა გვაქვს უფლება არ დავიბრუნოთ ის ძირძველი საქართველოს ტერიტორია, რომელმაც მაგალითი მისცა სხვა დანარჩენ მხარეებს საქართველოს გაქრისტიანებისა (გავიხსენოთ, რომ 325 წელს ნიკეას საეკლესიო კრებაზე, სადაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, მონაწილეობდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი — სტრატოფილე), ის ტერიტორია არ დავიბრუნოთ, სადაც ქადაგებდნენ უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მოწაფენი — სვიმონ კანანელის წმინდა ძვლები ხომ კამანში განისვენებს.

თუ გვინდა საქართველოს გამთლიანება და აღორძინება, უნდა დავიწყოთ საძირკვლიდან — ეს არის ქართული სული. საჭიროა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება. გაიხსენეთ 1989 წელი, 9 აპრილი, ღალიძგის ხიდი — როგორ ერთსულოვნად იყო შეკრული ერი და ბერი. მაშინ ჩაიშალა საქართველოს გახლეჩის გეგმა. თვით შაჰ-აბასის სიტყვებია —„ერთსულოვნად შეკრულნი ქართველნი უძლეველნი არიან, რაგინდ ურიცხვიც არ უნდა იყოს მტერი!“ ამიტომაც არის საჭირო ქართული სულის აღორძინება — ამის გასაღები კი ჩვენს რელიგიაში, მართლმადიდებლობაში დევს. საქართველოს ძლიერების ფორმულა ხომ ასე ნაცნობი და მარტივია — „ენა, მამული, სარწმუნოება“.

ნიკოლოზ ბარათაშვილსაც აწუხებდა იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობა. ამ გენიოს პოეტს სტკიოდა ხალხის ნიჰილისტური დამოკიდებულება საერო პრობლემებისადმი. თავის უკვდავ პოემაში „ბედი ქართლისა“ პოეტი გადმოგვცემს ზოგიერთი ქართველის ბედოვლათობას:

**—„ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენ საკუთარ თავს,
რის ქართველობა, რა ქართველობა?!
ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?!“**

სამწუხაროდ, პარალელი ნათლად ჩანს დღევანდელ საქართველოსთან. თითქმის არაფერი შეცვლილა... საბედნიეროდ, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გამოჩნდნენ ილია და სხვა თერგდალეულები. მათ გამოაღვიძეს მიძინებული საქართველო. მათ გააღვივეს ის პატარა ნაკვერჩხალი, რომელიც ყველა ქართველს უდევს გულში და რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია. ილია ჭავჭავაძეს სიცოცხლე მოუსწრაფეს და ვერ მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ უდიდესი წვლილი საქართველოს დამოუკიდებლობაში სწორედ მას და მის თანამოაზრეებს ეკუთვნით.

მინდა კიდევ ერთ პრობლემას შევეხო — ქართველი ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლა-განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს. რა თქმა უნდა, მისასალმებელი ფაქტია წარჩინებული სტუდენტების, ახალგაზრდების უცხო ქვეყნებში განსწავლა — ეს ხომ საქართველოს ინტელექტუალური ბანკია, საქართველოს მომავალია. დღეს-ხვალ ისინი ჩაიბარებენ სახელმწიფოს მმართველობის სადავეებს, ისინი უხელმძღვანელებენ ქვეყანას. მაგრამ, აქაც არის ერთი მაგრამ... არ ვიცი ეს შეგნებულად კეთდება თუ არა... მე ვიცნობ რამდენიმე ახალგაზრდას საზღვარგარეთ განათლებამიღებულს, რომელთათვისაც თითქმის არ არსებობს არანაირი სამშობლოს სიყვარული, ეროვნული ფასეულობანი. ერთ მათგანს ჩემთვის ნათქვამიც აქვს, რომ მისთვის მთავარია კარიერა, რომ ის კარიერისტია. სწორედ ასეთია იმ კონტინგენტის 95 პროცენტი, ვინც საზღვარგარეთ მიდის. რა უნდა გაუკეთოს სამშობლოს იმ კაცმა, რომელიც კარიერისთვის ყველაფერს იკადრებს! ასეთი კაცი ხომ პირველსავე ხელსაყრელ მომენტში თხასავით გაგვყიდის მეც, თქვენც და სამშობლოსაც, ის ხომ „საქართველოს მოქალაქეა“ და არა ქართველი. 80 პროცენტი საზღვარგარეთ მიმავლებისა „ვიღაცის შვილია“, „ვიღაცის“ ძმისშვილი, ან ცნობილი გავლენიანი ნათესავი უწევს პროტექციას. ნამდვილი ქართული ცნობიერების მამულიშვილები კი, რატომღაც, არავის არ სჭირდება!

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! ყველა ნორმალურ ქვეყანაში ხელისუფლება სანთლით უნდა ეძებდეს ეროვნული ცნობიერების ხალხს, ჩვენთან კი ყველაფერი უკუღმა ხდება. ნამდვილი ქართველი პატრიოტები გარიყულნი არიან.

თავის დროზე განათლება საზღვარგარეთ თერგდალეულებმაც მიიღეს, მაგრამ მათ თავიანთი ქვეყნის სიყვარული და ქართველობა, თერგს მიღმა არ დაუტოვებიათ, საქართველო ჩინ-მედლებზე არ გაუცვლიათ.

სავალალო შედეგების თავიდან ასაცილებლად ახლავე უნდა დავიწყოთ ზრუნვა და გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები. ვის-ვის, მაგრამ მე ეს პრობლემა ძალიან მაწუხებს, რადგან ყოველივე ჩვენს თაობაზე, ჩვენს ტყავზე გადაივლის. ამიტომაც საჭირო და აუცილებელია თუნდაც რამდენიმე ღირსეულმა პატრიოტმა ქართველმა მაინც მიიღოს ანალოგიური განათლება, რათა ვითარება დაბალანსდეს და სახელმწიფოს, საქართველოს გამოადგეს.

მე პასუხს ვაგებ ყველა სიტყვაზე, რაც აქ მიწერია. და თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ჩემს გულწრფელობაში, მზად ვარ შევხვდე ნებისმიერ ადამიანს, ჩავხედო თვალებში, თვით სიცრუის დეტექტორზე გავატარო ჩემი თავი და დავამტკიცო სიმართლე.

**—„ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია?!
აწმყო თუ არა გვწყალობს
მომავალი ჩვენია!“**

ამჯერად აქ შევჩერდები და დავასრულებ ჩემს პატარა „აღსარებას“.

თუ ჩემი ნაწერის წაკითხვის შემდეგ თუნდაც ერთ კაცს, ერთ ახალგაზრდას მაინც გავუღვივებ სამშობლოს სიყვარულს, ჩემს მოვალეობას, ნაწილობრივ, შესრულებულად ჩავთვლი.

საქართველო ჯერ არ მომკვდარა, საქართველო გადარჩება!

გვფარავდეს ღმერთი!

**სოსო ქობულია.**
**21.02.2000 წ.**

◉ ვის დაკარგვია დემოგრაფია?!




*ყველაზე ძველი, ორი საუკუნის ისტორიის მქონე რეპროდუქციის ცენტრი, რომელიც ჟორდანიას ინსტიტუტის სახელითაა ცნობილი, კვლავ მედიის თვალსაწიერში მოექცა. პრობლემა ბანალურია — ინსტიტუტი იყიდება, თანამშრომლების ბედი კი გადაუჭრელია. ბენდუქიძის ინიცირებული იდეა, რომლის მიხედვითაც საქართველოში 100 ახალი საავადმყოფო უნდა აშენებულიყო, ჩაფლავდა, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა მოქმედი საავადმყოფოების თუ სამედიცინო დაწესებულებების გაყიდვის პროცესს. ასი ვერ აშენდა, მაგრამ, რაც იყო, ნახევარზე მეტი — გაიყიდა(!).*

# თავში ქვა და მუცელში სამართებელი?!

## თუმცა ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლები სახელმწიფოს არ საყვედურობენ, ამ უკანასკნელმა დემოგრაფიაზე ოდნავ მაინც არ უნდა იზრუნოს?

ჟორდანიას სახელობის რეპროდუქციის ინსტიტუტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც 100 პროცენტით სახელმწიფო მფლობელობაშია. ანუ სახელმწიფოს კეთილ ნებასა და სურვილზეა დამოკიდებული ინსტიტუტის ბედი; ბუნებრივია (?!ძ სახელმწიფოს ქალაქის ცენტრში მდებარე 4000 კვ.მ. მიწა და შენობა გაუყიდავი არ დარჩებოდა და იგი აუქციონის წესით უკვე შეიძინა ფირმა „სანმა“.

ინსტიტუტის დირექტორი **არჩილ ხომასურიძე** ძალიან ეცადა, საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გაკეთებელი განცხადებისათვის პოლიტიკური შეფერილობა არ მიეცა, მაგრამ რაც უნდა იყოს, სახელმწიფოს დღესვე შეუძლია გადაწყვეტილების შეცვლა და ყველაფრის ძველ კალაპოტში მოქცევა... სავარაუდოდ, ეს ასე არ მოხდება, თანაც შენობას უკვე ოფიციალური მეპატრონე გამოუჩნდა. ვინ არის ფირმა „სანი“? — ინსტიტუტის დირექტორისთვის მეტი ინფორმაცია „სანის“ შესახებ უცნობია, თანაც ფირმის წარმომადგენელი ოფიციალური პირი ჯერჯერობით არ გამოჩენილა, მით უმეტეს, გაურკვეველია, როგორი იქნება თანამშრომლობის პირობები ინსტიტუტსა და მეპატრონეს შორის. წინასწარი ხელშეკრულებით, ჟორდანიას ინსტიტუტს უფლება აქვს, აპრილამდე ყოფილ შენობაში დარჩეს.


არჩილ ხომასურიძე

**„გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ჟორდანიას ინსტიტუტი ლიკვიდირებულია, სიმართლე არაა,** — განაცხადა არჩილ ხომასურიძემ, **— ზოგიერთი პაციენტი უნდობლად გვიყურებს. მართალია, შენობა გაიყიდა, მაგრამ მედკოლექტივი და თანამშრომლები არ გაყიდულა, ინსტიტუტი დარჩა და ის რა საშუალებითაც არ უნდა იყოს, კიდევ დიდხანს იარსებებს. ინსტიტუტის გადარჩენა და შენარჩუნება პრესტიჟის საქმეა“.**

ჟორდანიას სახელობის რეპროდუქციის ინსტიტუტი ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის სამეცნიერო ცენტრია, ჟენევის ერთ-ერთი სათანამშრომლო ფილიალი, ალბათ, უცხოელებისთვის გაუგებარი და შეურაცხმყოფელიც კი იქნება ინსტიტუტის ლიკვიდაცია, — ამბობენ ინსტიტუტის თანამშრომლები.

არათუ ლიკვიდაცია, არჩილ ხომასურიძეს წარმოუდგენლად მიაჩნია თუნდაც ერთი ან ორი თვით, ანუ იმ დროით მუშაობის შეწყვეტა, რაც ინსტიტუტის სხვა დაწესებულებაში გადაბარგებას უნდა დასჭირდეს. თანაც აქ სტუდენტებიც სწავლობენ, რადგან ინსტიტუტში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის მეან-გინეკოლოგიური ბაზაა განთავსებული.

**„მაშინ, როცა ქვეყანას დემოგრაფიული პრობლემები აქვს, ჩვენთან ყოველწლიურად, უშვილობის მკურნალობის შედეგად, ბევრი ბავშვი ჩნდება. მაგალითად, 2008 წელს 840 ახალშობილი აღირიცხა. ამას პროცენტულად თუ გადავიანგარიშებთ, ყოველდღიურად 2,5 ბავშვი გამოდის. წარმოიდგინეთ, რამდენი სიცოცხლე დაიკარგება, თუკი ჩვენ რამდენიმე თვით მუშაობას შევაჩერებთ“...** — დანანებით ამბობს ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

რა ბედი ეწევა ინსტიტუტს?

ორი ალტერნატივა არსებობს, თუმცა „ალტერნატივა“ შეიძლება პირობითი ტერმინია. „სამი წლის წინათ კახა ბენდუქიძემ დამიბარა, — იხსენებს არჩილ ხომასურიძე, — მაშინ შედარებით მიზერულ ფასად შემოგვთავაზა თავად ინსტიტუტის თანამშრომლებს, შეგვესყიდა შენობა, მაგრამ არა ეს ნაგებობა, სადაც ახლა ვიმყოფებით, არამედ თევდორე მღვდლის 13-ში მდებარე, ხალხი თოდუას ინსტიტუტის სახელით რომ იცნობს, იმ ინსტიტუტის ბოლო ორი სართული, რომელიც მხოლოდ შავი კარკასია.

რადგან უკვე დღის წესრიგში იდგა ჩვენი შენობის აუცილებლად გაყიდვის საკითხი, მოვიძიე თანხები, ვისესხე და 1500 კვ.მ. ფართი, კვადრატი 100 დოლარად შევიძინეთ. მის გარემონტებას მილიონი დოლარი სჭირდება, თანაც ნასესხები ვალი უკვე გასასტუმრებელია, ინსტიტუტს ხელფასებისა და სამედიცინო აღჭურვილობის შენახვისთვის საჭირო თანხების გარდა, სხვა სახსრები არა აქვს.

მეორე ვარიანტია დიღომში, ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს პირველ სართულზე 2000 კვ.მ. ფართობი, მაგრამ ისიც უნდა ვიყიდოთ 1 კვ. მ. 300 დოლარად, ანუ 600 ათასი დოლარი გვჭირდება, თანხა არა გვაქვს. ინვესტორის მოძიება კი არც ისეთი მარტივია. ამას დრო სჭირდება“.

**ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლები სახელმწიფოს შენობის გაყიდვის გამო არ საყვედურობენ, მაგრამ დახმარებას და ხელშეწყობას ნამდვილად ითხოვენ.**

თვენახევრის წინათ ჯერ კიდევ თანახმა ყოფილა ეკონომიკის სამინისტრო, თავად ინსტიტუტის თანამშრომლებს შეესყიდათ შენობა მილიონ შვიდასი ათას დოლარად პირდაპირი შესყიდვის წესით, მაგრამ სანამ ამ თანხას მოიძიებდნენ და თავს მოუყრიდნენ, შენობა 2 მილიონ ნახევარ დოლარად ფირმა „სანმა“ შეიძინა. რატომღაც გასაიდუმლოებულია, ვინ არის ამ ფირმის მფლობელი, სადაურია, რა კაპიტალს ფლობს ზოგადად და ა. შ.

შავ დღეში ჩაცვენილი მედიკოსები, შეიძლება ითქვას, ღია ცის ქვეშ რჩებიან, თუ ინსტიტუტის მენეჯერებმა გონივრული გამოსავალი ვერ იპოვეს და ინვესტორის მოზიდვა ვერ შეძლეს.

**რაც შეეხება სახელმწიფოს, კაპიტალურ რელსებზე გადასულ ქვეყანას და ბიუჯეტის შევსებით დაინტერესებულ ხელისუფალთ ნაკლებად აღელვებთ მსგავსი შემთხვევები. ისინი სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ცნებას არ ცნობენ და ქვეყნის დემოგრაფიული კატასტროფა, მით უფრო, ერთი ინსტიტუტის ბედი აღელვებთ?!**

**მაშ, რა ქნან ამ ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ერთი ფრთიანი ფრაზისა არ იყოს, თავში ქვა იხალონ, მუცელში კი თუნდაც სამართებელი გამოისვან?**

**მუცელში გამოსმისა რა მოგახსენოთ და, ბავშვს მონატრული ბევრი ოჯახისთვის, ამ ინსტიტუტის იმედად რომაა დარჩენილი, ექიმების ქუჩაში გაგდება ნამდვილად სამართებლის ყელში გამოსმაა.**

თეა მოსია

◉ წლები

# გამოჩენილი ქართველი მეცნიერი



## აკადემიკოს ლეო გაბუნიას დაბადების 90 წლისთავის გამო

**ათი წელი გავიდა, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელოვან კოლექტივს 2001 წლის 8 მაისს გამოაკლდა ლეო გაბუნია, ერთ-ერთი აღიარებული პალეონტოლოგი-ევოლუციონისტი, ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის ფუძემდებელი კავკასიაში.**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, ლ.დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ლეო კალისტრატეს ძე გაბუნია მსოფლიოში ხერხემლიანთა პალეონტოლოგიისა და მესამეულის სტრატიგრაფიის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი იყო. მისი სახელი ფართოდაა ცნობილი ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ბუნებისმეტყველ მეცნიერთა შორის. ლეო გაბუნიას გამოკვლევები სათაფლიას დინოზავრების ნაკვალევებისა და ჩრდილო კავკასიის მიოცენის რქიანი ღორის შესახებ გამოყენებულია პარიზში გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ „პალეონტოლოგიის სახელმძღვანელოში“, კაპიტალური მონოგრაფია ნამარხ სამთითა ცხენების-ჰიპარიონების შესახებ თარგმნილია ფრანგულ ენაზე, ხოლო ბოლო წლების ორიგინალური გამოკვლევები დმანისის ადრეული ჰომინიდების შესახებ გამოქვეყნებულია სოლიდურ უცხოურ გამოცემებში.

ლეო გაბუნიას ეკუთვნის მრავალი უნიკალური პალეონტოლოგიური აღმოჩენა. მან შეისწავლა მანამდე უცნობი ბენარის, ობაილის, არკნეთის, ქისათიბისა და სხვა ფაუნისტური კომპლექსები, არსებითად შეავსო ნეოგენის ძუძუმწოვრების ისტორიაში არსებული ხარვეზები, ხოლო აღნიშნული ფაუნებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული გამოკვლევები შევიდა პალეობიოლოგიური ლიტერატურის მსოფლიოს ოქროს ფონდში. ლეო გაბუნიას გამოკვლევებმა არსებითად შეცვალა საქართველოსა და მოსაზღვრე რეგიონების ხერხემლიან ცხოველთა ისტორიის მანამდე დამკვიდრებული წარმოდგენები და დაამტკიცა, რომ კავკასიის ხმელეთის ხერხემლიანთა ისტორია მეზოზოურიდან იწყება. ამ დროს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გიგანტური დინოზავრები ბინადრობდნენ.

დიდია ლეო გაბუნიას დამსახურება ოლიგოცენური დროის ხმელეთის ძუძუმწოვრების კვლევის საქმეში. მის მიერ შესწავლილია საქართველოს, სომხეთის, ყაზახეთისა და რუმინეთის ოლიგოცენური ფაუნისტური კომპლექსები.

ცნობილია, რომ პალეობიოლოგიურ მონაცემებს დიდი, ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ევოლუციური მოძღვრების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გაშუქების საქმეში. ნამარხი ნაშთების შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია ორგანული ფორმების ამოწყდომის, ბუნებრივი შერჩევის, ევოლუციური პროგრესისა და რიგი სხვა თეორიული საკითხის კვლევა. სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტას ეძღვნება ლ. გაბუნიას ნაშრომები, რომლებმაც მსოფლიო აღიარება დაიმსახურეს. ლ. გაბუნიას ყურადღების გარეშე არ დარჩენია დარვინიზმის კლასიკოსების მემკვიდრეობის შესწავლა. მისი შრომები პალეობიოლოგიის ფუძემდებლის ვ. კოვალევსკისა და ბელგიელი ევოლუციონისტი ლუი დოლოს შესახებ პალეონტოლოგების სამაგიდო წიგნადაა მიჩნეული.

დიდია ლეო გაბუნიას დამსახურება მეცნიერული ცოდნის პოპულარიზაციის დარგში. ოსტატურად დაწერილი წიგნები სათაფლიის დინოზავრებზე, ქვაბების გიგანტურ დამანებზე, ტარიბანის სამხრეთის სპილოზე და ბენარის ნამარხ ცხოველებზე შეუნელებელი ინტერესით იკითხება და ახალგაზრდების პალეონტოლოგიის საკითხებში განვითარების საქმეს ემსახურება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლ. გაბუნიას უკანასკნელი ათი წლის გამოკვლევები პალეოანთროპოლოგიაში. ლ. გაბუნიას და მისი მოწაფეების სახელთანაა დაკავშირებული მსოფლიოში აღიარებული დმანისის ადრეული ადამიანის შესახებ გამოკვლევები, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალეს მეცნიერებაში დღემდე დამკვიდრებული წარმოდგენა ადამიანის ევრაზიაში გავრცელების დროისა და გზების შესახებ. ამ გამოკვლევებით დადგინდა, რომ დმანისელი ჰომინიდი უძველესია ევრაზიაში და, რომ ამ ჰომინიდის ევრაზიაში მიგრაცია აფრიკიდან მოხდა დაახლოებით 1,8 მილიონი წლის წინათ. 2002 წელს საფრანგეთში გამოქვეყნდა დმანისელი ჰომინიდისადმი მიძღვნილი მეცნიერული ნაშრომი, სადაც დმანისელ ადამიანს ჰომო გეორგიცუს-ს ეწოდა. ამ ნაშრომის ქართველ ავტორთა ჯგუფს სათავეში ლეო გაბუნია ედგა.

ლეო გაბუნია აქტიურად მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობაში, არჩეული იყო საერთაშორისო ორგანიზაციის „ინქვას“ ვიცე-პრეზიდენტად, ხმელთაშუა ზღვის სტრატიგრაფიის კომიტეტის წევრად, ბელგიისა და საფრანგეთის გეოლოგიური საზოგადოებების, აშშ-ის ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის საზოგადოების, საერთაშორისო ჟურნალის „ევოლუციური თეორია„ (ჩიკაგოძ სარედაქციო კოლეგიის წევრად.

ლ. გაბუნია 1978 წლიდან სათავეში ედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილებას, ხოლო 1988 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნად. დიდი ერუდიცია, მეცნიერების მთელი რიგი დარგების ღრმა ცოდნა, მეცნიერული ფაქტების განზოგადების შესანიშნავი უნარი ის თვისებებია, რომლებითაც დაჯილდოებული იყო ლ. გაბუნია. იგი წარმატებით უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. არჩეული იყო საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტად, ბუნების დაცვის „ადამიანი და ბიოსფერო“ საქართველოს ნაციონალური კომიტეტის თავჯდომარედ. უშრეტი ენერგიითა და საქმის სიყვარულით ყველგან ყველაფერს ასწრებდა, თან ყოველ საქმეს თავისებურ, ორიგინალურ კვალსაც აჩენდა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლ. გაბუნიას ღვაწლი ქართველ მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში, რასაც იგი დიდი მონდომებითა და სიყვარულით ეკიდებოდა. ლ. გაბუნიას გამოზრდილი პალეონტოლოგები, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტებია.

და მაინც როცა ლეო გაბუნიას ვიხსენებთ, პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას მის მოქალაქეობრივ ღირსებებს. თავმდაბალი, სასიამოვნო მოსაუბრე და მრჩეველი, თავაზიანი და ტაქტიანი, შესანიშნავი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, გულისმიერი ამხანაგი და ერთგული მეგობარი, რბილი იუმორით დაჯილდოებული, საქმისადმი თავდადებული, ამავე დროს პრინციპული, ჭეშმარიტი პატრიოტი. პალმოხდილი წავიდა ლეო გაბუნია, პალმოხდილი სამშობლოს, ერისა და ღმერთის წინაშე.

ბევრი, ძალიან ბევრი გააკეთა ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილმა ერისა და მეცნიერების საკეთილდღეოდ.

აკადემიკოს ლეო გაბუნიას სახელი მუდამ დარჩება მისი ახლობლების, მოწაფეებისა და კოლეგების მეხსიერებაში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტი**

**შვილიშვილის სარჩელი**

**იური მუხინი**

# ასამართლებენ სტალინს

ამრიგად, თუ ელცინი დამნაშავეა, მაშასადამე, ისინიც დამნაშავეები არიან, და, თავისთავად, ეს რამდენიმე ათასი, ან იქნებ რამდენიმე ათეული ათასი დამნაშავე ვალდებული იყო გამოეჩინა დაინტერესება ელცინის, და თავიანთი თავისაც, რეაბილიტაციით.

ის კი, რომ ელცინი დამნაშავეა, უეჭველია, ვინაიდან მას ამაში ბრალი დასდო თავად პრეზიდენტმა პუტინმა, რომელმაც გამოსცა ბრძანებულება, რაც კრძალავდა ელცინის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. უდანაშაულო ელცინისთვის ეს შეურაცხყოფა იქნებოდა, მაგრამ ოჯახმა ეს ბრძანებულება კმაყოფილებით მიიღო.

ამრიგად, ჩვენ გვყავანან გარდაცვლილი სტალინი და ელცინი, რომლებსაც სჭირდებათ რეაბილიტაცია, არის ხალხი, ვისაც სჭირდება ამ ადამიანების რეაბილიტაცია, ამიტომაც მათი გასამართლება აუცილებელია.

ახლა კი ა. ბარანოვის პირველ მტკიცებასთან დაკავშირებით – იმის შესახებ, რომ „არავინ შეიძლება იქნეს მიჩნეული დამნაშავედ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე“. მიჩნეული – კი, მაგრამ არა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია დაასახელოს ადამიანი დამნაშავედ – ადამიანად, ვინც ჩაიდინა ისეთი მოქმედებანი, რომლებიც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონით. ის, რომ განსასჯელმა ჩაიდინა ასეთი მოქმედება, აუცილებლად უნდა დაადასტურონ ბრალმდებლებმა, ეს აუცილებლად უნდა დაადასტურონ დანაშაულის მოწმეებმაც...

ახალი მოწმეების შესახებ.

დიახ, ჰიტლერი არ გაუსამართლებიათ, მაგრამ ჰიტლერმა რამდენიმე მილიონი ტირაჟით გამოსცა თავისი საპროგრამო წიგნი „მაინ კამპფი“ („ჩემი ბრძოლა“), რომელშიც შავით თეთრზე დაწერა, რომ მისი მიზანია – ხელში ჩაიგდოს გერმანელებისთვის რუსეთისა და რუსეთის კუთვნილი განაპირა სახელმწიფოების მიწები. და იყო ომი, და დარჩა ათეულობით მილიონი საბჭოთა მოქალაქე, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ, რომ ამ ომის შედეგად მათ დაეღუპათ ნათესავები და გაუნადგურდათ ქონება. ჩვენ, საბჭოთა ხალხი ვართ იმის მოწმე, რომ ჰიტლერი დამნაშავეა, ვინაიდან მას სურდა ეს მკვლელობანი და მოაწყო ეს მკვლელობანი. რაც შეეხება გერმანელებს, მათ თავად აღიარეს ჰიტლერი ფიურერად და ახლა თავად მოაწყონ სასამართლო და თავად დაადგინონ დამნაშავეა თუ არა მათთვის, ჩვენ კი ვიხილეთ მისი დანაშაული, და ჩვენთვის მისი სასამართლო ზედმეტია.

აი, თუ არიან იმის მოწმეები, რომ სტალინი, მაგალითად, როგორ კვლავდა „ნაგანით“ რომელიმე „წოდებას“, ან „პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს“ როგორ უკეთებდა „ხელბორკილებს“, არიან იმის მოწმეები, თუ პირადად როგორ ახდენდა „რეპრესიებს“? ან თუ გასცემდა სტალინი ბრძანებებს მოეკლათ ან ჩაესვათ ბანაკებში უდანაშაულონი? არა, ასეთი მოწმეები არ არსებობს, ასეთი ბრძანებებიც არ არსებობს, არც ყოფილან და არც იქნებიან.

მაშ, რაზეა საუბარი, რომელ „უდანაშაულოთა რეპრესიებზე“ გვმოწმობენ ყველა ეს „უდანაშაულოდ დაზარალებულნი“ ან „სერიოზული ისტორიკოსები“ „სამართალდამცველებთან“ ერთად? სინამდვილეში ისინი არიან მოწმეები ან იმისა, რომ „უდანაშაულოდ დაზარალებულები“ ისხდნენ ბანაკებში რომელიღაც სასამართლო ორგანოს განაჩენით, ან იმისა, რომ „სერიოზულმა ისტორიკოსებმა“ „სამართალდამცავებთან“ ერთად არქივებში იხილეს რაღაც ქაღალდები და ახლა თხზავენ ამ დოკუმენტების ტექსტებს, თავიანთი უგუნურობის კარნახით. ამით პირველებიც და მეორენიც არიან არა სტალინის დანაშაულობათა მოწმეები, არამედ საკუთარი უგუნურობისა და სისაძაგლისა.

დავუბრუნდეთ დამბრალებლებს.

ვიმეორებ, დანაშაული – ეს არის ქმედობა, რომელიც აკრძალულია სისხლის სამართლის კანონით და როცა საქმე უპასუხისმგებლო ყბედობიდან მიდის სტალინისათვის ბრალდების რეალურ წაყენებამდე (როგორც ეს კატინის საქმეზე იყო), მაშინ ბრალმდებლები, უკვე საბრალდებო დასკვნის მომზადების სტადიაში, იწყებენ იდიოტებად მზერას – მათ არ იციან, რომელ მოქმედებაში დასდონ ბრალი სტალინს. კატინის საქმეში მისთვის მოიგონეს ხელისუფლების ბოროტად გამოყენება. მოდით ამაზე ვისაუბროთ.

დავიწყოთ იმით, რის შესახებაც თავიდანვე ვეკითხებოდი რეზნიკს. თავის სიკვდილამდე საბჭოთა ხელისუფლების მეთაური იყო მ. ი. კალინინი, შემდეგ შვერნიკი, 1941 წლის გაზაფხულამდე სსრ კავშირის მეთაური იყო კ.მ. მოლოტოვი, სკპ (ბ) ხელმძღვანელი ორგანო იყო ცენტრალური კომიტეტი, სტალინი კი იყო ერთ-ერთი ცენტრალური კომიტეტის 5 მდივნიდან. კანონები, რომლებიც პარტიულ ხელისუფლებას აძლევდა უფლებას მიეცა სახელმწიფო ჩინოვნიკებისთვის უკანონო განკარგულებანი, არ ყოფილა (ასეთი კანონები უბრალოდ არ იყო საჭირო – პარტიას შეეძლო მიეღწია ნებისმიერი კანონის მიღებისთვის და მას არ სჭირდებოდა სსრ კავშირის კანონების დარღვევა). რეზნიკის ყბედობა იმის შესახებ, რომ სტალინს, არავინ იცოდა საიდან, ჰქონდა განუსაზღვრელი ხელისუფლება (ეტყობა, რეზნიკმა გაიგო, რომ სტალინმა დაიჭირა ოქროს თევზი და ამის შესახებ არ გვეუბნებოდაო), არწმუნებს მხოლოდ დებილებს, ვისაც ცნობები საუნივერსიტეტო განათლების შესახებ ვერაფერში ეხმარება.

ამრიგად, ლაყბობა იმის შესახებ, რომ სტალინი ბოროტად იყენებდა ხელისუფლებას, შეიძლება, მაგრამ იმის დამტკიცება, რომ სტალინს ამისთვის ჰქონდა ხელისუფლება, არ შეიძლება.




ახლა, რას ნიშნავს „ბოროტად იყენებდა“? ომის წინ გამყიდველების განადგურება – ეს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაა? პირიქით, სტალინს რომ ისინი დაენდო, სწორედ ეს იქნებოდა ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ვინაიდან ბოროტად გამოყენება ითვალისწინებს როგორც მოქმედებას, ისე უმოქმედობას! რაც შეეხება ამ დროს უდანაშაულოთა დაზარალებას, აქ ასეთი მდგომარეობაა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სტალინის ძალისხმევას იმ მოსამართლეთა დასჯის შესახებ, ვინც იმ წლებში უსამართლოდ სჯიდა უდანაშაულოებს, მაშინ როგორ შეიძლება დასდო თავად სტალინს ბრალი უსამართლოთა წინააღმდეგ რეპრესიებში, თუ პოლიტბიურო (მის შემადგენლობაში სტალინიც) აწესებდა ლიმიტებს, ესე იგი შეზღუდვებს რეპრესიებზე?

შედეგად: არც მაშინდელ სისხლის სამართლის კოდექსში, არც ამჟამინდელში, არ არის კანონით აკრძალული მოქმედება, რომელიც სტალინს ჩაედინა. აქ ასეც შეიძლება შევხედოთ – თუ ასეთი მოქმედება იქნებოდა, მაშინ, ხრუშჩოვიდან დაწყებული, სტალინის გასამართლება უკვე გაიმართებოდა.

ამრიგად, თუ სურვილი იქნება, შეიძლება გავასამართლოთ სტალინი რომელიმე, კანონისთვის უცნობი დანაშაულის გამო, მაგრამ რითი უნდა გახვიდე სამართლიან სასამართლოზე, თუ ეს სასამართლო საქმის მოსმენის შედეგად ჩასვამს ბანაკებში თავად ბრალმდებლებს თავიდანვე უდანაშაულოსთვის ბრალის დადებით?

აი გორბაჩოვი და ელცინი – სხვა საქმეა. მათ გინდა ბრალი დასდე, გინდ იყავი მოწმე მათ წინააღმდეგ, – ყველაფერი იყო ჩვენს თვალწინ და არქივების ჩხრეკა ჩვენ არ გვჭირდება. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი მათგანი, სტალინის ბრალმდებელია ის თუ მის დანაშაულობათა მოწმე, ასეთ კომენტარს უკეთებს ჩემს წინადადებას: *„არანაირი დანაშაული, ელცინს პუტინთან ერთად არ ჩაუდენია, ყოველ შემთხვევაში, ხალხზე მასობრივ ძალადობას რომ შეხებოდეს“.*

ნუთუ?

1991 წლის 17 მარტს სსრ კავშირის ხალხმა რეფერენდუმზე მიიღო გადაწყვეტილება – იცხოვროს ერთ სახელმწიფოში, 1991 წლის 8 დეკემბერს კი გორბაჩოვის დანაშაულებრივი უმოქმედობით ბელოვეჟის დამნაშავეებმა ცინიკურად და უხეშად გათელეს სსრ კავშირის – მისი ხალხის – სუვერენის ნება, და აღარ იყო სსრ კავშირი. როგორ უყურებს ამას მაშინდელი სისხლის სამართლის კოდექსი?

*„მუხლი 64.* ***სამშობლოს ღალატი.*** *აქ სამშობლოს ღალატი, ესე იგი მოქმედება, რომელიც განზრახ ჩაიდინა სსრ კავშირის მოქალაქემ სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის საზიანოდ... ანდა თანაბრად შეთქმულება ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან თხუთმეტ წლამდე ვადით ქონების კონფისკაციით ან სიკვდილით დასჯით ქონების კონფისკაციით“. ჩვენ გვაქვს უფლება მოვთხოვოთ გორბაჩოვსა და ელცინს – სად არის სსრ კავშირის სუვერენიტეტი?* ჩვენ რა, ვერ დავადასტურებთ სასამართლოზე, რომ ერთიანი სსრ კავშირი უკვე აღარაა?

მაგრამ ესეც ყველაფერი როდია.

შეგახსენებთ, რომ როდესაც ელცინი იყო რსფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ამ საბჭომ გადააკეთა რსფსრ კონსტიტუცია: ქვეყნის მართვაში შეიყვანა პრეზიდენტის პოსტი და კონსტიტუციის ყველა დებულება ამ პოსტს დაუქვემდებარა. მაგრამ იყო საფრთხე, რომ ელცინს არ აირჩევდნენ პრეზიდენტად. და მაშინ, თავად იგიც, მეთოჯინეებიც დაკარგავენ ხელისუფლებას. ასეთი შემთხვევისთვის მანვე კონსტიტუციაში შეიტანა დებულება იმის შესახებ, რომ რუსეთის პრეზიდენტი დაუყოვნებლივ კარგავს ხელისუფლებას და აღარ იქნება პრეზიდენტი, როგორც კი შეეცდება დაითხოვოს უმაღლესი საბჭო. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 126-ე მუხლი მაშინ ასეთი იყო: *„რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსილებანი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული რუსეთის ფედერაციის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის შეცვლისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერად არჩეული ორგანოების დათხოვნის ან მოქმედების შეწყვეტისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებამოსილებანი წყდება დაუყოვნებლივ“.*

მაგრამ 1993 წლის სექტემბერში ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შესახებ და კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ხელში ჩაიგდო საკანონმდებლო ხელისუფლება რუსეთში. ეს კიდევ ერთი მოქმედებაა *(„შეთქმულება ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით“)*, რომელიც კვლავ გათვალისწინებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 64 მუხლით **„სამშობლოს ღალატი“**.

რაც შეეხება სტალინსა და ელცინს, თავად უფალი გვიკარნახებს მივმართოთ ხალხს ამ წიგნის წინასიტყვაობის სათაურში გამოტანილი შეკითხვით „სტალინელები და ანტისტალინელები“.

მაგრამ თუ შეკითხვაა – შეკითხვა იყოს. ამიტომ დროული იქნება ხალხის აზრის ამ გამოკითხვაში მეორე შეკითხვაც:

სტალინი რომ ცოცხალი ყოფილიყო 90-იანი წლების დასაწყისში, მაშინ სსრ კავშირის ხალხთა ნების შესრულების მიზნით, რაც გამოიხატა 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმზე, და სახალხო ქონების დატაცების თავიდან აცილების მიზნით, გორბაჩოვი, ელცინი, კრავჩუკი, შუშკევიჩი და მათი ხელისმომწყობნი იქნებოდნენ დაჭერილი, გასამართლებული, დახვრეტილი და ბანაკეში ჩასმული.

მოიწონებდით სტალინის ყველა ამ ზომას?

თარგმნა
**ზურაბ ლომიძემ**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-168,176-178.**

**ინფორმაცია**



## ვინ დაესხა თავს ანქვაბს?

**აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრეზიდენტზე ალექსანდრე ანქვაბზე მომხდარი თავდასხმის საქმის გამოძიება პირად კონტროლზე აიყვანა. ეს განცხადება ბაღაფშმა აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს სხდომაზე გააკეთა.**

**ბაღაფშის ე.წ. ოფიციალური წარმომადგენლის კრიტიან ბჟანიას განცხადებით, ე.წ. უშიშროების საბჭოს სხდომაზე სერგეი ბაღაფშმა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს საქმის გამოძიების მსვლელობის დროს მისი უწყვეტი ინფორმირება დაავალა.**

**მისივე ინფორმაციით, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ე.წ. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს ასევე მოსთხოვა აღნიშნული ფაქტის გამოძიების საქმეში „ყველა მექანიზმი ჩართონ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისათვის რუს კოლეგებს მიმართონ“.**

**სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრეზიდენტზე ალექსანდრე ანქვაბზე მომხდარი თავდასხმის გამო „სახელმწიფო ან საზოგადო პირის სიცოცხლის ხელყოფის“ მუხლით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.**

**შეგახსენებთ, რომ სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრეზიდენტზე თავდასხმა ხუთშაბათს მოხდა. გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, ნათესავის სახლს, სადაც ბოლო წლებია ანქვაბი ცხოვრობს, ყუმბარმტყორცნიდან ესროლეს. ალექსანდრე ანქვაბი ფეხშია დაჭრილი. თავად ანქვაბის განცხადებით, უცნობმა პირებმა მის სახლს ყუმბარმტყორცნიდან გაუხსნეს ცეცხლი. ჭურვი ოთახში შევარდა, სადაც მას ეძინა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი რუსეთში ხელისუფლების სისტემას „ააშკარავებს“

**პრეზიდენტი ობამა უკვე ჩავიდა გაეროს შტაბ-ბინაში, რათა გამოვიდეს სიტყვით თავისი კოლეგების წინაშე გენერალურ ასამბლეაზე. ჩვენ მას წუთი-წუთზე ველოდებით. ამ დროს გამოდის ბობ ვუდვორდის ახალი სკანდალური წიგნი, რომელშიც ავტორი მიანიშნებს, რომ პრეზიდენტი გამოთქვამს ურთიერთსაპირისპირო აზრებს ტერორიზმთან ბრძოლაში.**

**ჩვენთან გადაცემაზე მოვიდა კიდევ ერთი პრეზიდენტი. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი**

*— ბატონო პრეზიდენტო, სასიამოვნოა, რომ გვეწვიეთ.*

— მეც მსიამოვნებს ვიყო თქვენთან თქვენს შოუში. აქ თავს ვგრძნობ, თითქმის როგორც საკუთარ სახლში.

*— ძალიან სასიამოვნოა, რომ გამონახეთ დრო ჩვენთვის. არის ერთგვარი საფრთხე იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტი ობამა გამოთქვამს ერთი მეორის საპირისპირო აზრებს ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ. როგორ მიგაჩნიათ, მას სერიოზული და თანმიმდევრული პოზიცია უკავია ამ პრობლემასთან დაკავშირებით?*

— ჩვენი ჯარები ავღანეთში არიან. ჩვენ შეგვაქვს ყველაზე დიდი წვლილი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ავღანეთში ამ ოპერაციაში. ჩვენი ჯარისკაცები ქვეყნის სამხრეთში იმყოფებიან. იქ არიან ჩვენი საბრძოლო ჯარები, ჩვენ პროტესტს არ ვაცხადებთ, როგორც ზოგიერთი მოკავშირეები.

*— სხვა სიტყვებით, თქვენ იქ რჩებით და არავითარი საუბარი არ არის ჯარების გამოყვანაზე?*

მიხეილ სააკაშვილი: დიახ, ჩვენ იქ დანაკარგები განვიცადეთ. მაგრამ, ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანია ჩემი ხალხისთვისაც და ჩემთვისაც, რომ ვღებულობთ კარგ გამოცდილებას. დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახებიც კი პატივისცემით ეპყრობიან ამ ოპერაციას. იცით, ის ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი, ეს აუცილებელია! ესე იგი ჩვენ არ შეგვიძლია წამოვიდეთ ავღანეთიდან, თუ ვერ გადავწყვეტთ მთელ ამ პრობლემას.

*— მაგრამ თქვენ ხომ საქმე გქონდათ რუსეთთან, თქვენ იცით, რომ ეს მეტად რთული საქმე იქნება. მათ აქვთ პრობლემები ავღანეთში, სხვა ქვეყნებსაც. მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.*

— მომისმინეთ, რუსეთი... აქ შედარება არ შეიძლება. რუსეთი იქ გამოგონილი საბაბით აღმოჩნდა. ისინი იქ იყვნენ იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ამჟამად ახდენენ ჩემი ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას. მათ სურდათ ავღანეთის დამორჩილება. ჩვენ, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატები, სხვა ქვეყნებიც, ამჟამად დარწმუნებული ვართ, რომ შეიძლება ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევა, რომ მის მცხოვრებლებს აქვთ მომავალი. საჭიროა, რომ განვითარდეს ადგილობრივი დემოკრატიის ერთგვარი ვერსია და შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ ფუნქციონირებდეს მთავრობა. ეს ყოველივე მსოფლიოში უშიშროებისთვის არის საჭირო. ვფიქრობ, ჩვენ არ უნდა დავნებდეთ ამ ბრძოლაში.

*— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ახსენეთ რუსეთი.*



*და, რასაკვირველია, თქვენ გქონდათ პირადი უთანხმოებანი ვლადიმერ პუტინთან. ამ ცოტა ხნის წინათ ხმებიც კი დადიოდა იმის შესახებ, რომ მას თქვენი მოკვლაც კი უნდოდა აჯანყების დროს. და მართალია გავიდა საკმაო დრო, თქვენ მას ძველებურად ოკუპანტს უწოდებთ. რა აზრისა ხართ პუტინზე? ფიქრობთ, რომ საჭესთან იგია? სურს კვლავ დაიბრუნოს ხელისუფლების მთელი ძალაუფლება? რას იტყოდით?*

— იმას რომ, ჯერ ერთი, ისინი ოკუპანტები არიან, მარტო მე არ ვლაპარაკობ, ამერიკის ოფიციალური პოზიციის თანახმად, რუსეთს საქართველოს რეგიონები ხელთ უპყრიათ უკანონოდ. და ეს არის ბევრი უცხოეთის ქვეყნის მთავრობის ოფიციალური პოზიციაც, ყველა პასუხისმგებელი პირის პოზიციაც. კიდევ რა უნდა დაგარქვან, როდესაც შეიჭრები სხვის ქვეყანაში, იკავებ ამ ქვეყნის ტერიტორიის ნაწილს, გამოდევნი იქიდან მოსახლეობის 80 პროცენტს. ჩვენთან 500 ათასი ლტოლვილია... და ეს ყველაფერი ხდება ევროპაში, მეტად ცივილიზებულ ქვეყანაში...

*— თქვენ აზრით, ყოველივე ამის უკან პუტინი დგას?*

— რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პუტინის ინიციატივა როდია, მაგრამ ის თავად მეტად ამაყია თავისი მოქმედებებით. და ამაში არაფერია გასაოცარი, ის ხომ მკაცრია საკუთარი მოქალაქეების მიმართაც კი. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ ქვეყანაში მიხეილ ხოდორკოვსკი, ყველაზე ნიჭიერი მეწარმე, დღემდე ციხეშია, ფაქტობრივად უკვე მეორე ვადით. მან უკვე გაიარა სასჯელი ციმბირის გულაგში. ვადა გაუვიდა — და ის გაათავისუფლეს. ამჟამად ფაქტობრივად იგი დააბრუნეს და ხელმეორედ გაასამართლეს...

*— ახლა საფინანსო პრობლემებზე, რის შესახებაც დღეს გაეროში ლაპარაკობენ. კერძოდ, გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ თავის მიმართვაში განაცხადა, რომ საჭიროა ერთგვარი მსოფლიო გადასახადი ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად. შეიძლება ეს სახსრები გამოუყონ ბანკებს, შეიძლება მდიდარ ქვეყნებს, შეიძლება იყოს ერთგვარი კომბინაციაც, რას ფიქრობდით ამასთან დაკავშირებით?*

— მე ხომ სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის არაეფექტიანი ქვეყნიდან ვარ, მე მახსოვს ჩვენი პროგრამები სიღარიბესთან ბრძოლის საქმეში, როდესაც ჩემი წინამორბედების მთავრობები ღებულობდნენ უზარმაზარ ფულს, რომელიც შემდეგ სადღაც გაქრა.

იცით, მათ უყოფდნენ ფულს მშენებლობისთვის, ისინი კი იგებდნენ თავიანთვის ვილებს. მათ უყოფდნენ ფულს გზებისა და საავადმყოფოებისთვის, ისინი კი ხსნიდნენ ახალ საბანკო ანგარიშებს და ყიდულობდნენ ახალ-ახალ ნივთებს. მათ უყოფდნენ ფულს განათლებისთვის, ისინი კი თავიანთ შვილებს უცხოეთის სკოლებში აგზავნიდნენ. აი მეც ვსწავლობდი ამერიკაში, ამერიკის სტიპენდიაზე, ისინი კი თავიანთ შვილებს აგზავნიდნენ საკუთარი ფულით. მე ვცხოვრობდი მივარდნილ ადგილას, ასტორიაში, ისინი კი აქ ცხოვრობდნენ ფეშენებელურ აპარტამენტებში.

სანამ პრეზიდენტი გავხდებოდი, მოსახლეობის 98 პროცენტი გამოკითხვის დროს ამბობდა, რომ უშუალოდ ცხოვრობდნენ კორუფციის პირობებში. ამჟამად ამას ნახევარ პროცენტზე ნაკლები ამბობს. ადრე ჩვენ ბიზნესის საკითხში 107-ე ადგილი გვეკავა, ახლა კი გამოვედით ერთ-ერთ პირველ ადგილზე. რისთვის ვამბობ ყოველივე ამას? რეფორმები საჭიროა, საჭიროა მხარი დავუჭიროთ რეფორმატორებს, საჭიროა ანგარიშგება — აი რა არის მთავარი. კორუფცია აი პრობლემა. აღმოფხვერი მას და ყველაფერი ამუშავდება.

*— ყველაფერი გასაგებია, ბატონო პრეზიდენტო, გმადლობთ.*

FOX NEWS channel

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

ცხრილი № 1

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | ** მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი. კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს „ენერგია +“ | ქ. ქუთაისი<br>ზ. გამსახურდიას ქ. № 58 | 899 942 200<br>895 900 235 | არასაყოფაცხ. 700 000 | არასაყოფაცხ. 56,671 |

## დედამიწის ზურგზე



**ორი დღის განმავლობაში 4 მიგი დაიმსხვრა. ამჯერად — ინდოეთში**

პილოტმა, რომელიც ფრენას ასრულებდა დასავლეთ ბენგალიაში, მოასწრო კატაპულტირება. ხუთშაბათს ბელარუსში ბარანოვიჩთან დაიმსხვრა მიგ-29, 2, პილოტი დაიღუპა. ხორვატიაში გამოცდების დროს წინა დღით ჰაერში ერთმანეთს ორი მიგი შეეჯახა, ორივე პილოტი გადარჩა.

* * *

**ბენ ლადენმა პირველობის ტიტული დაუთმო იემენელ ამერიკელს**




გააქტიურდა 39 წლის ალვარ ალ-ავლაკის ძიება: იგეგმება მისი ხელში ჩაგდება ან განადგურება. ეს მოძღვარი აქტიურად იყენებს ინტერნეტს და ვიდეოს მომხრეების გადმობირებისთვის. მან განათლება მიიღო ამერიკაში, შესანიშნავად ლაპარაკობს ინგლისურად, ტერორისტების რიგებში იზიდავს ახალგაზრდა მუსულმანებს ევროსაბჭოდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

* * *

**ამერიკელმა მეცნიერებმა ალბათობის თეორია ცხოვრებას დაუახლოვეს: ზედა სართულებზე ხალხი უფრო მალე ბერდება**



როგორც ალბერტ ეინშტეინმა დაადგინა, რაც უფრო შორსაა ადამიანი დედამიწიდან, მით ნაკლებად მოქმედებს გრავიტაცია და მით უფრო სწრაფად გადის მისთვის დრო. ცათამბჯენის 102-ე სართულზე ცხოვრების დროს 79 წლის განმავლობაში ადამიანი დაბერდება დამატებით წამის ასმეოთხე მილიონედი ნაწილით.

* * *

**პირველად 20 წლის განმავლობაში დედამიწაზე აღინიშნა „სუპერსრულიმთვარე“**

სრულმთვარეობა დაემთხვა საშემოდგომო ბუნიობას: ჩვეულებრივად ეს მოვლენები ხდება რამდენიმე დღის ან კვირის ინტერვალით. ამ თვეში სრული მთვარე დაემთხვა შემოდგომის ბუნიობის დაწყებიდან სულ 6 საათის შემდეგ.



ახალი წიგნი

ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებას შეემატა ახალი გამოცემა: აკად. გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნა ქართულ-ინგლისური წიგნი „ბიზანტია ქართულ წყაროებში" (რედაქტორები – ნელი მახარაძე, ნოდარ ლომოური, ლოგოსი, თბილისი, 2010; 619 გვერდი). პროექტი განხორციელდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი).

წიგნის შესავალში ვკითხულობთ, რომ მასში „შესულია ცნობები ბიზანტიის შესახებ, შემონახული ქართულ საისტორიო წყაროებში, ისტორიულ დოკუმენტებში, აგიოგრაფიულ თხზულებებში, ეპიგრაფიკულ ძეგლებში, დამატების სახით ბერძნული წარმომავლობის ტოპონიმიკურ ლექსიკაში და ბიზანტიური ხანის ბერძნული ენის ისტორიისათვის საყურადღებო ლინგვისტური ხასიათის მასალებში. ბუნებრივია, თემა ამოწურული არ არის და ბევრი რამ კიდევ გამოსავლენია და შესასწავლი".

# ბიზანტია ქართულ წყაროებში

წიგნის პირველი ვრცელი მონაკვეთის (ქართული საისტორიო თხზულებები, როგორც წყარო ბიზანტიის ისტორიისათვის) ავტორია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართველ ბიზანტინისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფესორი ნოდარ ლომოური. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ქართველ მემატიანეთა ყველა მნიშვნელოვან ცნობაზე ბიზანტიასთან დაკავშირებით და წყაროთა მონაცემების, სპეციალური ლიტერატურის (უახლესი გამოცემების გათვალისწინებით), ღრმა ანალიზის საფუძველზე წარმოგვიდგენს არსებითი ხასიათის შეფასებებს, განაზოგადებელ დასკვნებს.

წიგნის მომდევნო თავის (ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ წყაროებში) ავტორია ვახტანგ გოილაძე. დასაწყისში ლაკონურადაა განხილული ქართული ეპიგრაფიკული ნიმუშები (საშუილდის სიონი, აბასთუმნისა და სამწევრისის ეკლესიები, ათენის სიონი, ოშკის ტაძარი, ზარზმის ეკვდერი). ცნობილია, რომ ეს უკანასკნელი მოგვითხრობს ქართველთა (თორნიკე ერისთავის) როლის შესახებ იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში. აქვე საუბარია ქართულ ხელნაწერებზე შესრულებული მინაწერების შესახებ. ინტერესით იკითხება „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების ასახვა ძველ ქართულ და ბიზანტიურ წყაროებში". 487 წელს ანტიოქიის საპატრიარქოს ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ პატრიარქ პეტრე ფულონის თავმჯდომარეობით, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა. შემდეგ გაშუქებულია მოვლენებით აღსავსე პროცესი, რომელიც დასრულდა 681 წელს, როდესაც VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ ჩვენი ეკლესიისათვის ავტოკეფალია და მირონის კურთხევის ნებართვა დაადასტურა (გვ. 117). სათანადო ლიტერატურის გათვალისწინებით ვ. გოილაძე მიმოიხილავს ისეთ საინტერესო თემებს, როგორებიცაა „ბიზანტიური ტიტულატურა იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში" და „ყოვლისა აღმოსავლეთის კურაპალატის" წოდება საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში", ე. წ. „ქართულ-ბიზანტიური მონეტები" და სხვა.

ერეკლე ჟორდანია მეცნიერული აკრიბიით, მრავლისმომცველი კომენტარებით განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა „ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის ქართული წყაროები". მხედველობაშია: ერთ-ერთი ძირითადი წყარო ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ (ბასილი ეზოსმოძღვარი); განმარტებულია „ლიხთ-იქითი", „ლაზია" და სხვ.; დამოწმებულია ჟამთააღმწერელი, ქორეთის (ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში) წარწერა (ღმრთაების ეკლესია) და ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემა ჭანეთის შესახებ (გვ. 144-155).

ორიგინალური დასკვნების შემცველია თამარ მესხის გამოკვლევა – „ბერძნული ელემენტი ათენის ხეობის ტოპონიმიკაში და ათენის სიონი". ბერძნული ენის საფუძველზე ახლებურადაა ახსნილი „ათენის" ეტიმოლოგია (არა „მდინარე", „წყალი", არამედ „ხედვა", „ჭვრეტა" – „დანახვისი"), განსაზღვრულია ფრესკული წარწერების მნიშვნელობა თანადროული კულტურული და პოლიტიკური პროცესების მიმართ; დახასიათებულია გალავნით ფეოდალური სახლის წევრთა აღმშენებლობით-საგანმანათლებლო მოღვაწეობა და სხვ. თ. მესხის მიერ მიღებული დასკვნები საინტერესოა თავად ბიზანტიური კულტურის შესწავლის თვალსაზრისითაც. სახელდობრ, აქამდე ცნობილი იყო, რომ კუნძულ ანდროსის მონასტრები VIII-IX საუკუნეების ბიზანტიის საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდა, მაგრამ ის არ იყო ნათელი, თუ ამ კერებში რომელი მონასტრები მოიაზრებოდა კონკრეტულად. ვინაიდან ანდროსის ტოპონიმთაგან საქართველოში „ატენი" გადმოინერგა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსები ანდროსის ატენისა და მისი შემოგარენის მონასტრებს გულისხმობდნენ" (გვ. 217). აქვე სიამოვნებით მინდა აღვნიშნო ქ-ნ თამარ მესხის გამორჩეული ადგილი თანამედროვე ქართულ-ბერძნულ კულტურულ ურთიერთობათა სფეროში.




წიგნის ბოლო ნაწილი ეთმობა ნელი მახარაძის სოლიდურ გამოკვლევას – „ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები და მათი მნიშვნელობა ბერძნული ენის ისტორიისათვის". ქ-ნი ნ. მახარაძე წლების მანძილზე საფუძვლიანად იკვლევს ბიზანტიური პერიოდის ბერძნული ენის ისტორიის პრობლემებს. იგი აღნიშნავს, რომ „... სრულიად უნიკალური აღმოჩნდა ძველ ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ წერილობით წყაროებში დაცული ბერძნული ცნება-ტერმინების, საკუთარი სახელების, ტოპონიმების, უთარგმნელი ბერძნული ფრაზების თუ ძლისპირთა ტრანსლიტერაციული ვრცელი მონაკვეთების ქართულანბანური გადმოცემის თავისებურებანი. მასში თითქმის მთელი სისრულით გამოვლინდა ბერძნულ წარმოთქმაში მომხდარი ცვლილებანი" (გვ. 225).

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ქართულ-ბიზანტიური წყაროთმცოდნეობის სფეროში ისეთი გამოცემების შემდეგ, როგორებიცაა სიმონ ყაუხჩიშვილის საეტაპო მნიშვნელობის რვატომეული (Georgica – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), აგრეთვე მისივე „ქართული წყაროები ბიზანტიის ისტორიის შესახებ" (I, თბილისი, 1974), წარმოდგენილი წიგნი – „ბიზანტია ქართულ წყაროებში" ჰუმანიტარული მეცნიერების ძალზე მნიშვნელოვანი შენაძენია. დიდად ფასეულია ის, რომ იგი ხელმისაწვდომი ხდება უცხოელი მკითხველისათვის, ექცევა თანამედროვე მეცნიერულ მიმოქცევაში, მეტად თვალსაჩინოს ხდის ქართულ თემას მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის ბიზანტიურ მონაკვეთში და წარმოაჩენს ჩვენი წინაპრების პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ორიენტაციას.

**ვალერი ასათიანი,**
**ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი**

ექიმებდე და ჰპოვებდე

*ყველა ომი, როგორც კაცობრიობის ყოფის ერთ-ერთი (თუ არა უმთავრესი) თანამდევი პროცესი, ფორმით, ფაქტობრივად, ერთნაირია, მხოლოდ მათ შინაარსებში დევს გარკვეული განსხვავებანი. და გვინდა თუ არა, ჩვენც ამ კონტექსტში მოვიაზრებით, განსაკუთრებით ბოლო ოცი წლის მანძილზე ეტაპობრივად განვითარებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით, გადაჯაჭვული საბრძოლო მოქმედებების გამო. ამ პერიოდში მიღებული ნებისმიერი სახის შედეგი, დღიდან პირველი ტყვიის გავარდნისა, სახელმწიფოებრივ დონეზე არამც და არამც არ განიხილება. ცოდვა გამხელილი სჯობს და ღრმად მწამს, რომ ჯერ არაფერი დასრულებულა, თუმცა მეომრები უკვე სამართლებრივი და სოციალური დაცვის საკითხების მოუგვარებლობის პრობლემის წინაშე დგანან. დგანან მას შემდეგ, რაც ედუარდ შევარდნაძის მთავრობამ „გამოსავალი" ნახა და ამოსავალ წერტილად სსრკ-ის დროინდელი მეორე მსოფლიო ომის და ავღანეთის ომის ვეტერანთა შესახებ კანონები გამოიყენა, რომლებსაც „მიაბა" საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მეომართა შესახებ კანონი... და მისი შეუსრულებლობა უსახსრობას დააბრალა.*

# როცა ჯარისკაცი ფიქრს იწყებს

„ვარდების რევოლუციის" წარმატებით დაგვირგვინებამ მეომარ-ვეტერანთა თუ დაღუპულთა ოჯახებს გარკვეული იმედი ჩაუსახა. ისინი იმ რწმენით განიმსჭვალნენ, რომ შესაბამისი კანონები ამუშავდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამაოდ. ის კანონები საერთოდ გააუქმეს და მაგიდაზე დადეს ფარატინა ქაღალდზე დაბეჭდილი სამი პუნქტი: მიენიჭოს პიროვნებას ვეტერანის სტატუსი; დაიკრძალოს სახელმწიფოს ხარჯზე; ვეტერანთა კატეგორიას მიკუთვნებულ პირებს დაიცავენ სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული აქტებით (რომლებიც ბუნებაში არ არსებობენ – **ლ. ო.**). სწორედ ამის გამო, ვეტერანთა მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციაზე, ამ აბსურდის ავტორის, მაშინდელი ჯანდაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის სურათიც კი დაწვეს (მისი მოადგილის და თანაავტორის ვახტანგ მეგრელიშვილის გამოსახულება ალბათ არ ჰქონდათ), ამ ყველაფრის მიზეზი კი, უკვე თქმულთან ერთად, ის გახლდათ, რომ საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ ინიცირებული და საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტისთვის მიწოდებულ წინადადებათა პაკეტი, რომელიც შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალ გზებს გულისხმობდა, მთლიანად უგულებელყოფილ იქნა.

ამ საერთო გაუკითხაობის ერთ-ერთ მტკივნეულ სეგმენტად კვლავაც რჩებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური რეაბილიტაციის და მათი დაცულობის საკითხების მოგვარება, რაზეც შესაბამის უწყებებს არავითარი რეაქცია არ ჰქონდათ. მუშაობდა მხოლოდ ძალოვანთა საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულება, რომელიც მხოლოდ ოფიცერთა კატეგორიისკენ იყო მიმართული და არ ეხებოდა რიგით მებრძოლებს. აღარაფერს ვამბობ მოხალისეთა კორპუსზე ან რაიმე სხვა ფორმალურ თუ არაფორმალურ შეიარაღებულ გაერთიანებებზე, რომლებმაც თავის დროზე განსაკუთრებით სისხლისმღვრელი ბრძოლები იტვირთეს (გაგრა, ტამიში, სოხუმი)...

დაღუპულთა ოჯახების, ინვალიდთა და ვეტერანთა პრობლემების მოუგვარებლობას წლების მანძილზე განსაკუთრებული „მონდომებით" იყენებდნენ (როგორც წესი, არჩევნების წინ) მთავრობას მორგებული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ამა თუ იმ წყაროდან გამოყოფილ თანხებს ურიცხავდნენ ამ მიზნით შექმნილ ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც თავის მხრივ „ატკატის" სახით უბრუნებდნენ თანხის გარკვეულ ნაწილს ხელისუფლების შესაბამის შტოებს. ლომის წილს ამ აფერაში მოქკავშირი ისაკუთრებდა, და მცირეოდენ კაპიკებს იმეტებდა გაუბედურებულ ვეტერანთა ნაწილისთვის, ისიც წინასაარჩევნო ავანსის სახით. ვეტერანთა დიდი ნაწილი კი, რომელსაც მიღებული თანხების რაციონალურად გამოყენება – წარმოებასა და აგრარულ სექტორში მათი დაბანდება შეეძლოთ, რაც მასაც წაადგებოდა და ქვეყანასაც, იგნორირებული რჩებოდა.

ასე გაიხადა მავანმა ვეტერანი სასპეკულანტო ობიექტად, სანამ დროისა და ვითარების მოთხოვნით ის მრავალი ფსევდოსაქველმოქმედო არასამთავრობო ორგანიზაცია არ დაიშალა, ხოლო დარჩენილი სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს არ შეერწყნენ (როგორც სახელისუფლოს, ისე ოპოზიციას).

თუ ისტორიულ პარალელებს დავუბრუნდები, ვიტყვი, რომ ერთ დროს არსებულ იატაკქვეშა გამოცემებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელნიც ორიენტირებული იყვნენ საზოგადოდ, ომის და კერძოდ ვიეტნამის კამპანიის წინააღმდეგ, ასევე ომის შემდგომ ვეტერანის სოციალურ და ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე, მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ უშუალოდ სამხედრო ბაზების სიახლოვეს განლაგებული ახალგაზრდული კაფეები, რომლებიც თავის მხრივ იქმნებოდნენ იმ ორგანიზაციის მეშვეობით, რომლის სახელწოდებაც გახლდათ „Support our Soldiers". აბრევიატურაში – „SOS". მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათი მოღვაწეობა აიძულებდა არა ჯარისკაცებს, არამედ მთავრობას, რათა ხმამაღლა ეყვირა „SOS".

ეს, კატასტროფის აღმნიშვნელი სიგნალი ჩვენც რაც შეიძლება ხშირად უნდა ავამოქმედოთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2006 წლიდან, ნოღაიდელის პრემიერობის დროს კანონში დაღუპულთა შესახებ შევიდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა დახმარების გაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონფლიქტის დროს დაღუპულის ოჯახის წევრები შრომისუუნარონი იქნებოდნენ, ამ „ბრძნული" გადაწყვეტილების შედეგად 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ოჯახებიც ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ცალკე დგას ინვალიდთა საკითხი, რომელთა სოციალური და ჯანდაცვის საკითხები არც განიხილებოდა და არც განიხილება, თუ არ ჩავთვლით დედაქალაქის მერიაში თავის დროზე მკვდარშობილ ორ-სამ პროგრამას, რომლებსაც დღეს, გაცოცხლების მაგივრად, საერთოდ გადაესვა ხაზი.

ბოლოს და ბოლოს დავუსვათ ჩვენს თავს კითხვა: „რა მივიღეთ"?

რა მივიღეთ და დიდი თურქული ქვის კედელი... გმირთა მოედანზე. ნაჩქარევად დაპროექტებული, ზედ ამოტვიფრული დაღუპულთა შეუჯერებელი და არასრული ნუსხა (ღმერთმა ნათელში ამყოფოს ყოველი მათგანი), ფასადი, რომლის მიღმაც მიმალულა ზემოთ თქმული თუ ჯერ არ თქმული პრობლემები, პოტენციური საფრთხეები... რა საფრთხეები? ისევ პარალელები!

აშშ-ის კონსტიტუციის პირველ შესწორებას (როგორც ის მონათლეს) უკვე აღარ შეუძლია ჯარისკაცის დაცვა, თვით ჯარისკაცს კი აღარ სურს დაიცვას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის (ე. ი. სამშობლოს) ინტერესები და ის სულ უფრო და უფრო მეტს ფიქრობს. ამაში კანონდარღვევაა. ეს დარღვევა მხოლოდ და მხოლოდ იმით მჟღავნდება, რომ ჯარისკაცი ფიქრს იწყებს.

დიახ, ვეტერანმაც და მოქმედმა ჯარისკაცმაც, რომელთა ნაიარევ მკერდებზე მიმაგრებულ ჯილდოთა გვერდით თითქოს უხილავი ლურსმნით მიჭედებული დაფაა წარწერით „რისთვის"? პასუხი უნდა ექებონ. და არა კანონებსა თუ სხვა ნორმატიულ აქტებში, არამედ საკუთარ თავში.

ექიებდე და ჰპოვებდე...

**ლევან ორახელაშვილი**

## ◉ კალათბურთი

# ოთხი თვეც და...

**25 იანვარს ვილნიუსში 2011 წლის „ევრობასკეტის“ ფინალური ეტაპის წილისყრა მოეწყობა, რომელიც ლიტვურ ფორუმზე უკანასკნელ მომენტში დაშვებული საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეთა ვინაობას გამოავლენს.**

განთესვის შედეგების მიხედვით, „ჯვაროსნები“ მეოთხე კალათაში მოხვდნენ, რაც, დებიუტანტის კვალობაზე, დაგვეთანხმებით, საგულისხმო ფაქტია. რაც შეეხება სრულ ნუსხას, იგი ასე გამოიყურება.



**I კალათა.** თურქეთი, ლიტვა, სერბეთი, ესპანეთი.

**II კალათა.** რუსეთი, სლოვენია, საბერძნეთი, საფრანგეთი.

**III კალათა.** ხორვატეთი, გერმანია, ჩერნოგორია, ბელგია.

**IV კალათა.** დიდი ბრიტანეთი, მაკედონია, ისრაელი, საქართველო.

**V კალათა.** იტალია, ბულგარეთი, უკრაინა, პოლონეთი.

**VI კალათა.** ბოსნია, ლატვია. დარჩენილ ორ ვაკანსიას საკვალიფიკაციო ტურნირის სამი მონაწილიდან (ფინეთი, უნგრეთი, პორტუგალია) ორი საუკეთესო შეავსებს. მათი შეხვედრები 3-24 აგვისტოს მიმოსვლის სისტემით გაიმართება.

აქვე გაუწყებთ, რომ ბალტიისპირული ბატალიების სტარტმა 3 სექტემბრიდან 31 აგვისტომდე გადმოიწია, რისი მიზეზიც ფორმატია. პირველი ვარიანტის მიხედვით, 24 რჩეული 4 ექვსგუნდიან ჯგუფად უნდა დაყოფილიყო, საიდანაც უძლიერესი კვარტეტები მერვედფინალში ითამაშებდნენ. ასეთ შემთხვევაში ფინალისტებს 9 მატჩის ჩატარება მოუწევდათ და ამიტომ შეჯიბრებაც 3 სექტემბერს იწყებოდა, მაგრამ ვინაიდან მეორე ვარიანტი დამტკიცდა, გადამწყვეტი ბრძოლის მონაწილეებს 11 შეხვედრის გამართვას რომ ავალდებულებს, იმიტომაც დაჩქარდა ჩემპიონატის გახსნა. თამაშები ჯგუფებში 31 აგვისტოს, 1, 2, 4 და 5 სექტემბერსაა დანიშნული, ხოლო 3 სექტემბერს დასვენების დღეა.

მართალია, აღნიშნული ფორმატიც 24 ნაკრების 4 ექვსგუნდიან ჯგუფად განაწილებას ითვალისწინებს, მაგრამ არის განსხვავებაც. კერძოდ, მომდევნო რაუნდში 3-3 საუკეთესო, ანუ 12 ნაკრები გავა, რომლებიც ორ ჯგუფად დაიყოფიან, ხოლო ერთი ჯგუფიდან გადასულ სამეულებს ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები შედეგები მეორე ეტაპზეც გადაჰყვებათ. მეოთხედფინალში გასასვლელად საკმარისია ოთხეულში მოხვედრა, რასაც ნახევარფინალი და ფინალი დააგვირგვინებს.

**გიორგი შოთაძე**

## ◉ რაგბი



# ჩემპიონმა ლიდერობა დაიბრუნა

**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში მე-10 ტურის შეხვედრები გაიმართა.** პოზიცია დათმო პირველ ადგილზე მყოფმა „აიამ“. ამჯერად იგი, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ერთ-ერთ აუტსაიდერ „აკადემიასთან“ დამარცხდა — 11:18. სამაგიეროდ, წარმატებას მიაღწია საქართველოს ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „ლელომ“. დაძაბულ ბრძოლაში მან „ლოკომოტივს“ აჯობა — 26:17. „ბათუმმა“ შინ „არმაზს“ სძლია 27:13, ხოლო „ვისოლი-ყოჩებმა“ — „ხარებს“ — 32:16.

**დღეისთვის სატურნირო მდგომარეობა ასეთია:**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლელო“ | 10 | 8 | 0 | 2 | +154 | 16 |
| „აია“ | 10 | 7 | 0 | 3 | +55 | 14 |
| „ყოჩები“ | 10 | 6 | 1 | 3 | +59 | 14 |
| „ლოკომოტივი“ | 10 | 6 | 0 | 4 | +59 | 12 |
| „არმაზი“ | 10 | 4 | 0 | 6 | -92 | 8 |
| „აკადემია“ | 10 | 3 | 1 | 6 | -27 | 7 |
| „ხარები“ | 10 | 3 | 0 | 7 | -128 | 6 |
| „ბათუმი XV“ | 10 | 2 | 0 | 7 | -83 | 4 |

**ლექსო ცინცაძე**

## ◉ სუმო

# ახლა ტოჩინოშინის ჯერია

**ტოკიოს სუმოისტთა შემოდგომის ბაშოს დამთავრებამდე სამი დღით ადრე ორმა ქართველმა გოლიათმა — ლევან ცაგურიამ (კოკაიძ და თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუძ დადებითი ბალანსი გაინაღდა.** კოკაიმ მე-8 მოგებას მონგოლ „არწივთან“ (ტამავაშიძ წარმატებული პაექრობით მიაღწია. ქართველმა ისეთი ძალით მოისროლა მეტოქე, რომ



იგი მაყურებელთა პირველ რიგში აღმოჩნდა. გაგამარუმ ტოსაიუტაკა ბეჭებით დასცა დოჰიოზე. ტოჩინოშინმა კომუსუბ კაკარიუსთან წააგო და თანაბარი (6-6ძ ბალანსი აქვს. ბოლო სამი შეხვედრიდან მას ორი მოგება სჭირდება.

თორმეტი დღის შემდეგ უდანაკარგოდ დიდი მონგოლი ჩემპიონი ჰაკუჰო ლიდერობს. 10-10 მოგება აქვთ იოშიკაძესა და ტაკეკაძეს, 8-4-ზე ბალანსი კი — კოკაის და გაგამარუს.

**გივი გაგუა**

## ◉ ჭადრაკი

# სამი ტური — უდანაკარგოდ

**ხანტი-მანსიისკში მიმდინარე საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიო ხუხაშვილი, სალომე მელია, ბელა ხოტენაშვილიძ და ვაჟთა (ბაადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, თამაზ გელაშვილი, ლევან ფანცულაიაძ ნაკრებმა გუნდებმა წარმატებული სტარტი რომ აიღეს, ამის შესახებ უკვე გაუწყეთ.** ქართველმა დიდოსტატებმა მეორე ბარიერიც იოლად გადალახეს: ქალებმა ჩერნოგორიელებს სძლიეს



3,5:0,5, ხოლო ვაჟებმა სინგაპურელები დაამარცხეს მშრალი ანგარიშით. მესამე ტურში ჩვენებს უფრო ძლიერი მეტოქეები ჰყავდათ.

ამის მიუხედავად, ქალთა გუნდმა ყაზახებს 3:1 აჯობა. ნანა ძაგნიძემ და სალომე მელიამ მეტოქეები დაამარცხეს, ლელა ჯავახიშვილი და ბელა ხოტენაშვილი ყაიმებს დასჯერდნენ.

ვაჟებს ტოლ-სწორი მექსიკის ნაკრები დაუპირისპირდა. პირველ დაფაზე ბაადურ ჯობავამ დათმო შეხვედრა მანუელ ლეონთან, მერაბ გაგუნაშვილმა ნახევარი ქულა იკმარა, ლევან ფანცულაიამ და თამაზ გელაშვილმა კი გაიმარჯვეს, რითაც საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუტანეს — 2:5:1,5.

სამი ტურის შემდეგ 6-6 ქულა ქალთა თერთმეტმა და ვაჟთა თორმეტმა გუნდმა მოაგროვა.

## ◉ სიტუაცია

# ხალიჩაზე დუნდულები „ზიან“

## და ზიანს აყენებენ საჭიდაო სამყაროს

***იმ ფედერაციას რა ვუთხარი, რომლის პრეზიდენტიც ვილაც კახა გეწაძე იქნება და ვიცეპრეზიდენტი — თვით რომან რურუა. დაგვეთანხმებით, ამით ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ მაინც...***

ამასწინანდელი მოსკოვური მუნდიალიდან საქართველოს დელეგაცია გაბითურებული დაბრუნდა, მაგრამ ვითომც აქ არაფერიო, მისმა მესვეურებმა რიხიანად წარმართეს ალმასკომის სხდომა, რომელიც, თუ თავმოყვარეობა შემორჩენიათ, ასპარეზის ღირსეულთათვის დათმობით და საჯარო მონანიებით უნდა დაგვირგვინებულიყო.

ალბათ, გაგეცინებათ — სად ნაციონალები, რომელთა საბუდარიდან ამოზრდილი ბარტყიც გეწაძეა, და სად ღირსებაო, მაგრამ ხომ გაგიგონიათ — ერთხელ „ისიც“ აყვავდებაო. ჰოდა, ჩვენც გულუბრყვილოდ გვეგონა — ძიუდოისტთაგან განსხვავებით, რომლებსაც ორი ათწლეული დასჭირდათ ხაბულიანის ულლიდან თავდასახსნელად, ფალავანთა საძმო ავტორიტეტს შეინარჩუნებდა. თურმე ვცდებოდით — ვარდოსანთა ბაცილა მართლაც ძნელი ამოსაძირკვი ყოფილა. ახლა კი, აბსტრაქტული მსჯელობა რომ არ გამოგვივიდეს, კონკრეტულ სათქმელზე გადავიდეთ.

რუსეთის დედაქალაქში გამართული ფორუმის პარალელურად ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილაძ ოლიმპიური და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი რომან რურუა სპორტის აღნიშნული სახეობის დიდების დარბაზში აირჩია. აი, სწორედ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ლონისძიებას უნდა დასწრებოდა ჩვენი სწორუპოვარი თანამემამულე, მაგრამ ფედერაციის გენსეკმა მალხაზ ჯორბენაძემ, სავარაუდოდ გეწაძის დირექტივის თანახმად, მისაწვევი დაუმალა.

როცა მიზეზს დაეკითხნენ, ერთი თვის განმავლობაში მობილურის ზარებს არ პასუხობდაო — იმართლა თავი. ვისაც ასეთი მტკნარი სიცრუის სჯერა, ასეთი სიმართლით გაუმარჯოს, ჩვენ კი იმ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, ლოგიკურად რომ გამოიყურება: რადგან ჩრდილოელებმა მათდამი მტრულად განწყობილი სახელისუფლო პარტიის გოშიას მათ სახელმწიფოში შესასვლელი ვიზა არ მისცა, მიშისტთა აზრით, იქ არც ნეიტრალურად განწყობილ მამულიშვილს უნდა შეეყო ცხვირი. აი, სწორედ ამიტომ „ვერ დაუკავშირდნენ“ მთელი თვის განმავლობაში ბატონ რომანს, თანაც როდის — ტექნიკური პროგრესით გამორჩეულ XXI საუკუნეში, როცა, თუ ვანოს სურს, საინტერესო პიროვნებას ქვესკნელშიც იპოვის. ბუნებრივია, ასეთი დამოკიდებულებით აღშფოთებულმა რურუამ ნაცებს პოსტიც დაუტოვა, ალმასკომის წევრობაც და პროტესტის ნიშნად მასკარადი მიატოვა.

თურმე ეს ჟურნალი ყოფილა. მალე ფილმიც ვიხილეთ, როცა მთავარი როლები ერთმანეთთან სიტყვიერად შეზმულმა არანაკლებ ტიტულოვანმა მოჭიდავეებმა, ბედის უკუღმართობით პოლიტიკური ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილმა დავით გობეჯიშვილმა და ლუკა კურტანიძემ შეასრულეს.

აფხაზეთიდან დევნილი, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით ცნობილი ვაჟკაცის გასაკრიტიკებლად კაცს ენა როგორ მოუბრუნდება, აი, მის ოპონენტზე კი გულისტკივილით ვიტყვით, რომ, მართალია, შურა მაისურაძემ და გურამ სალარაძემ სახალიჩოდ ბრწყინვალედ გააშალაშინეს, მაგრამ მის პიროვნულ სრულყოფას, როგორც ირკვევა, ვერაფერი მოუხერხეს. სხვათა შორის, ამას მისივე მშობლიურ სოფელში, საგვარეულო სალოცავზე მოცემული ფიცის გატეხვაც ადასტურებს, რომელსაც, თუ საჭიროება მოითხოვს, დეტალებში გავახსენებ.



მოდით, დღეს ეს ვიკმაროთ და ქართულ საჭიდაო ოჯახში ბურუსის სასწრაფოდ გაფანტვის იმედით აქ დავსვათ წერტილი.

**გია პლატონიშვილი**

## ◉ ინტერნეტიდან

### გაიმართება გაერთიანების თამაშები?




**დიდი ამბავია ატეხილი ნიუ-დელიში თანამეგობრობის თამაშების გამართვის ირგვლივ. ბევრს მიაჩნია, რომ ინდოეთი მზად არ არის ამ თამაშების ჩასატარებლად. სიტუაციას ამძიმებს ისიც, რომ თამაშებს ემუქრებიან ექსტრემისტები. ალბათ უკვე შეიტყვეთ, რომ ჩაინგრა ძალოსანთა მომავალი ასპარეზობის დარბაზის დეკორატიული სახურავი, უფრო ადრე კი ჩაწვა ფეხითმავალთა ხიდი. დაშავდა 20-ზე მეტი მუშა. დღემდე არ დასრულებულა სპორტული სოფლის მშენებლობა, სადაც უნდა იცხოვროს 50 ქვეყნის 8 ათასამდე სპორტსმენმა. ამის გამო ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა მანმოჰან სინგხმა მოიწვია საგანგებო თათბირი. ბოლო ცნობით, მიღებულია ზომები, რათა თამაშები ნორმალურ პირობებში ჩატარდეს.**

თუმცა ცნობილი გახდა, რომ ბევრმა სახელგანთქმულმა სპორტსმენმა უარი თქვა ნიუ-დელიში ჩასვლაზე. მათ შორის არიან სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სპრინტერი უსეინ ბოლტი, კენიელი მორბენალი არბელ კიპროპი, ავსტრალიელი მსოფლიო ჩემპიონები დანი სამუელსი, სტეფანია რაისი და ბევრი სხვა.

### კურნიკოვა გაამერიკელდა

**ახლო წარსულში ლამაზმანი პროფესიონალი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა ამერიკის მოქალაქე გახდა. როგორც თავად მან განაცხადა, ის თავს სანახევროდ რუსეთელად თვლიდა, სანახევროდ კი — ამერიკელად. თუმცა მისი მთლიანად გაამერიკელება დაკავშირებულია საქველმოქმედო ორგანიზაციასთან, ამერიკელი ჯარისკაცების საზღვარგარეთული საომარი ყოველდღიურობის დავიწყებას რომ ცდილობს, როგორც იტყობინებიან, ჟურნალის Maxim ამერიკული ვერსიის ოქტომბრის ნომერში ის გვიამბობს აშშ სამხედრო მოსამსახურეებთან მუშაობაზე უცხოეთში და თავის ოჯახურ**



**მდგომარეობაზეც. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ჟურნალთან ერთად გაიყიდება 3-D სათვალეები, რათა მკითხველები დაკმაყოფილდნენ კურნიკოვას ყოველმხრივი ხედვით.**

29 წლის ლამაზმანი ცნობილი გახდა არა მხოლოდ სპორტული წარმატებებით, არამედ პიკანტური ფოტოსესიებითაც პოპულარულ ჟურნალებში. აგრეთვე თავის ბოიფრენდთან ენრიკე იგლესიასთან ურთიერთობითაც, რომელსაც სულაც არ სჭირდება სამმაგი მხედველობის სათვალეები.

## ცისფერი ეკრანი: კულტურა, სპორტი

რას ვუყუროთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

### 25 სექტემბერი, შაბათი

**I არხი**

12.15 მხ. ფილმი „ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება.
17.00 გურამ სალარაძის შემოქმედებითი საღამო.
18.30 მხ. ფილმი „უნებლიე მილიონერი".
22.00 სერიალი „ხატი".
00.00 მხ. ფილმი „მიმზიდველი".
02.00 მხ. ფილმი „დროის მანქანა" სუბტიტრებით.

**II არხი**

13.00 მხ. ფილმი „გადამთიელები-2".
15.20 სერიალი „ჩიფსების თაობა".
15.50 ქართული მხ. ფილმი „დღეს ღამე უთენებია".
18.30 სერიალი „გრძნობათა ტყვეობაში".
19.50 სერიალი „იქ, სადაც უყვართ!"
00.00 მხ. ფილმი „პოლიციელი ბევერლი-ჰილზიდან".

**იმედი**

09.10 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი".
11.10 სერიალი „ურჩხულზე მონადირენი".
11.50 სერიალი „მეორე სიცოცხლე".
13.00 სერიალი „მხოლოდ შენ".
15.00 სერიალი „დაკარგულები-5".
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა".
17.40 სერიალი „სიყვარულის სახელით".
18.45, 19.05 სერიალი „მხოლოდ შენ".
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული".
00.00 მხ. ფილმი „სამართლიანობისთვის მებრძოლი" (სუბტიტრებითძ.
02.00 მხ. ფილმი „ზოროტების სავანე-3", სუბტიტრებით.

**მზე**

13.50 სერიალი „კომისარი მონტებლანო".
15.40 სერიალი „ველური მთვარე".
16.30 მხ. ფილმი.
19.30 ფეხბურთი.
22.00 სერიალი „მარია ემელია".
22.45 ფეხბურთი.
00.01 მხ. ფილმი.

**აჭარა**

09.30 სერიალი „ლათინური სიყვარული".
12.30 სერიალი „პადრე კორახე" (გამეორებაძ.
13.15 სერიალი „კეთილშობილი თაღლითები".
16.30 სერიალი „მოჯადოება".
18.50 მხ. ფილმი „კაენა".
21.00 სერიალი „პადრე კორახე".
23.20 მხ. ფილმი „სიცოცხლის ფასი".

**ერთსულოვნება**

12.15 მხ. ფილმი „ვინ არის მეოთხე?"
19.30 მხ. ფილმი „აქედან და შენამდე".
00.40 მხ. ფილმი „ოქროს ოზობა".

**საქართველო**

09.40 მხ. ფილმი „მრისხანების პილოტაჟი".
13.00 მხ. ფილმი „ინგლისელი პაციენტი".
15.50 მხ. ფილმი „შვიდი მახვილი".
18.35 სერიალი „მეფეები".
19.30 მხ. ფილმი „ნიბელუნგების ბეჭედი".
22.30 მხ. ფილმი „წმინდა გვირგვინი".
00.55 მხ. ფილმი „გენერლის ქალიშვილი".

**რეგიონი – TV**

11.25 მხ. ფილმი „გაათავისუფლეთ ვილი: გაქცევა მეკობრეთა უბედან".
13.05 მხ. ფილმი „დადის ჭორები".
14.40 მხ. ფილმი „ფაკერებთან ნაცნობობა".
16.30 მხ. ფილმი „სახლი ტბის პირას".
18.20 მხ. ფილმი „გადამზიდავი-3".
20.40 მხ. ფილმი „მეხსიერების დღიურები".
22.45 მხ. ფილმი „თუ არ დაიჭირე – ქურდი არ არის".
01.05 მხ. ფილმი „ფაკერებთან ნაცნობობა".
02.45 მხ. ფილმი „დადის ჭორები".
04.50 მხ. ფილმი „სახლი ტბის პირას".
06.35 მხ. ფილმი „კარიბის ზღვის მეკობრეები-2".
08.55 ქეთი მელუას კონცერტი.

### 26 სექტემბერი, კვირა

**I არხი**

12.15 მხ. ფილმი „მუდამ ახალგაზრდა".
17.30 ქართული ტელეფილმი „ნუცას სკოლა".
22.00 სერიალი „ხატი".
23.00 მხ. ფილმი „იდეალური მკვლელობა"
01.20 მხ. ფილმი „კიდევ ერთი არასაბავშვო თამაში".

**II არხი**

15.30 სპექტაკლი „ოპერაცია დეიდა ტასო".
23.00 მხ. ფილმი „მიმზიდველი".

**რუსთავი-2**

10.00 სერიალი „ლეგენდა მაძიებელზე".
13.30 მხ. ფილმი.
15.20 სერიალი „კაპრი".
19.50 სერიალი „იქ, სადაც უყვართ".
22.00 სერიალი „ცეცხლის წამკიდებელი".
23.00 მხ. ფილმი „მოჩვენება".
01.20 მხ. ფილმი „წყევლა".

**იმედი**

09.10 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი".
11.10 სერიალი „ურჩხულებთან მებრძოლი".



11.50 სერიალი „მეორე სიცოცხლე".
13.00 სერიალი „მხოლოდ შენ".
15.00 ქართ. მხ. ფილმი „სიყვარული ყველას უნდა".
21.00 სერიალი „გაქცევა-4"
22.00 ქართ. სერიალი „შუა ქალაქში".
23.00 მხ. ფილმი „ადრენალინი".
00.55 მხ. ფილმი „ქორწინების დღე".
03.25 მხ. ფილმი „სიცილიური კლანი".

**მზე**

14.30 ფეხბურთი.
17.00 ფეხბურთი.
19.00 მხ. ფილმი.
21.00 ფეხბურთი.
23.00 ფეხბურთი.

**აჭარა**

09.30 სერიალი „ლათინური სიყვარული".
12.40 სერიალი „პადრე კორახე" (განმეორებითძ.
16.30 სერიალი „მოჯადოება".
18.50 ქართ. მხ. ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი".
21.00 სერიალი „პადრე კორახე".
23.20 მხ. ფილმი „ბინძური სიყვარული".

**ერთსულოვნება**

12.15 მხ. ფილმი „აქედანა და შენამდე".
19.30 მხ. ფილმი „ვედრება".
00.35 მხ. ფილმი „ოქროს ოზობა".

**საქართველო**

09.40 მხ. ფილმი „ერთხელ მექსიკაში".
14.55 მხ. ფილმი „მებრძოლი დედოფალი".
16.30 მხ. ფილმი „ალექსანდრე".
19.30 მხ. ფილმი „იულიუს კეისარი".
22.40 მხ. ფილმი „მეომრები".
00.50 მხ. ფილმი „ინფორმატორი".

**რეგიონი – TV**

11.10 მხ. ფილმი „ჩარლის ანგელოზები".
12.45 მხ. ფილმი „ნაკიანი წელი".
14.25 მხ. ფილმი „მატყუარა, მატყუარა".
15.55 მხ. ფილმი „შიშის ფასი".
18.05 მხ. ფილმი „მეროკენროლე".
22.10 მხ. ფილმი „გიჟური პაემანი".
22.50 მხ. ფილმი „ძარცვა ბეიკერ-სტრიტზე".
00.55 მხ. ფილმი „ჩარლის ანგელოზები".
02.45 მხ. ფილმი „ნაკიანი წელი" (განმეორებითძ.
04.55 მხ. ფილმი „შიშის ფასი" (განმეორებითძ.
06.40 მხ. ფილმი „ბენჯამენ ბათონის იდუმალი ისტორია".

### 27 სექტემბერი, ორშაბათი

**I არხი**

09.00 მხ. ფილმი „შურისმაძიებლები".
11.00 სერიალი „ლეპრიკონეს საოცარი ლეგენდა".
12.30 სერიალი „ანელიას სახე".
15.00 სერიალი „ელიზას ქალიშვილი".
21.00 სერიალი „ანელიას სახე".
23.00 მხ. ფილმი „წვეულება".

**II არხი**

22.00 მხ. ფილმი „შურისმაძიებლები".
01.00 მხ. ფილმი „იდეალური მკვლელობა", სუბტიტრებით.

**რუსთავი-2**

11.00 სერიალი „სამუდამოდ შენი".
12.20 სერიალი „ფავორიტი".
14.00 სერიალი „შენ ჩემი სიცოცხლე ხარ".
15.25 სერიალი „სიყვარულის საიდუმლო".
16.25 სერიალი „ჩიფსების თაობა".
16.50 სერიალი „ფიცი".
18.30 სერიალი „დანიელა".
19.50 სერიალი „იქ, სადაც უყვართ".
23.00 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში".
23.30 მხ. ფილმი „კინგ-კონგი".
02.00 მხ. ფილმი „უცნაური მეცნიერი".

**იმედი**

10.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული".
11.50 სერიალი „მეორე სიცოცხლე".
13.00 სერიალი „მხოლოდ შენ".
16.00 სერიალი „ლუნას მემკვიდრეობა".
17.40 სერიალი „სიყვარულის სახელით".
18.45 სერიალი „მხოლოდ შენ".
21.00 სერიალი „დაუმორჩილებელი სული".
01.20 მხ. ფილმი „ვნების კვირა", სუბტიტრებით.
06.00 სერიალი „ვარსკვლავური ოჯახი".

**მზე**

10.50 სერიალი „მარია ემილია".
11.40 სერიალი „ტყუპები".
12.30 მხ. ფილმი:
15.00 ფეხბურთი. ბარსელონა – სპორტინგი.
17.00 ფეხბურთი. იუვენტუსი – პალერმო.
18.50 სერიალი „ჩემი სიყვარული".
19.40 მხ. ფილმი სუბტიტრებით.
21.50 სერიალი „მარია ემილია".
23.00 ფეხბურთი მალაგა – ვილიარეალი
22.40 სერიალი „დიელი და პასკო".
00.10 მხ. ფილმი.

**აჭარა**

09.30 სერიალი „ლათინური სიყვარული".
11.40 სერიალი „პადრე კორახე".
12.45 ქართ. ფილმი „სპირალი".
16.30 სერიალი „მოჯადოება".
19.30 სერიალი „კეთილშობილი თაღლითები".
21.00 სერიალი „პადრე კორახე"
23.55 მხ. ფილმი „მეორე სახელი".

**ერთსულოვნება**

06.25 მხ. ფილმი „ზოგი ჭირი მარგებელია".
12.10 მხ. ფილმი „ვედრება".
15.10 სპექტაკლი.
19.15 მხ. ფილმი „ივანე კოტორაშვილის ამბავი".

**საქართველო**

09.20 სერიალი „მეფეები".
13.25 მხ. ფილმი „შვიდი მახვილი".
16.15 მხ. ფილმი „მშვიდობისმყოფელი".
18.35 მხ. ფილმი „მეფეები".
19.30 მხ. ფილმი „ოთხი ბუმბული"
21.50 მხ. ფილმი „სოლისტი".
01.10 მხ. ფილმი „სიკვდილმისჯილი".

**რეგიონი – TV**

09.45 სერიალი „ვნების ანატომია" მე-6 სერია.
11.30 მხ. ფილმი „ტრანსფორმერები".
13.45 მხ. ფილმი „მძევალი".
15.55 მხ. ფილმი „ნაბიჯი წინ 2 – ქუჩები".
17.50 მხ. ფილმი „წინასწარმეტყველი".
19.45 მხ. ფილმი „ვნების ანატომია 5" მე-6 სერია.
22.00 მხ. ფილმი „ნაიარევსახიანი კაცი".
01.50 მხ. ფილმი „მძევალი".

რას ვუყუროთ შაბათს, კვირას, ორშაბათს

## რას მოვისმენთ ამ გალა-კონცერტზე

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 25 და 26 სექტემბერს 19 საათზე, ტრადიციულად, გიწვევთ ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში (დავით აღმაშენებლის გამზ. №127ძ. თეატრის სოლისტები და ორკესტრი გალა-კონცერტებს გამართავენ.

25 სექტემბრის კონცერტის პროგრამაშია ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის, ჯოაკინო როსინის, ჯუზეპე ვერდის, ჯაკომო პუჩინის, ჟორჟ ბიზეს, შარლ გუნოს, ფრანჩესკო ჩილეას, პიეტრო მასკანის, უმბერტო ჯორდანოს, ჟაკ ოფენბახის ნაწარმოებები. სცენაზე იხილავთ ოპერის თეატრის სოლისტებს – ელენე ჯანჯალია, ვახტანგ ჯაშიაშვილი, ნინო ჩაჩუა, გოჩა დათუაშვილი-ჯილაური, ირინე თაბორიძე, ალექსანდრე ხომერიკი, ელენა პუტილოვა, მარიკა მაჩიტიძე, სულხან გველესიანი, მაყვალა ასპანიძე, ნიკოლოზ ლაგვილავა, ირაკლი კახიძე, მარიამ ქობალიანი, გიორგი მახარაძე.

26 სექტემბერს კი შესრულდება ჯოაკინო როსინის, ჯუზეპე ვერდის, ჟორჟ ბიზეს, კამილ სენ-სანსის, პაბლო სოროსაბალის, პიეტრო მასკანის, ედუარდო კაპუას, დიმიტრი არაყიშვილის ქმნილებები. იმღერებენ – ელენე ჯანჯალია, ბესიკ გაბიტაშვილი, ნატალია ვოლჩენკო, ირაკლი კახიძე, მარიამ ქობალიანი, მამუკა ტეფნაძე, ნიკოლოზ ლაგვილავა, მარიკა მაჩიტიძე, ვანო გალუაშვილი, ირინე რატიანი, ელდარ გეწაძე, ლიანა კალმახელიძე, თეიმურაზ გუგუშვილი, კახაბერ თეთვაძე, სულხან გველესიანი.

თეატრის ორკესტრს წარუძღვებიან დირიჟორები – რევაზ ტაკიძე და დავით მუქერია.

## ალიან-ჩალიანი

### თაღლითებმა ბიუჯეტიდან მილიონი ლარი მიითვისეს

საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დაკავებულია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ხუთი წევრი. ჯგუფის წევრები მოქმედებდნენ აქამდე უცნობი, თითქოს მარტივი, მაგრამ ძალზე ოსტატურად შენიღბული სქემით. კერძოდ, მათ მიერ ხდებოდა იმ კომპანიების შერჩევა, რომლებიც სახელმწიფოს დაკვეთით აწარმოებდნენ სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებს და გამიზნული ჰქონდათ გადასახადების დამალვა. მას შემდეგ, რაც ეს კომპანიები სრულად მიიღებდნენ ბიუჯეტიდან თანხებს და წარმოეშობოდათ გადასახადის გადახდის ვალდებულება, ორგანიზებული ჯგუფის წევრების მეშვეობით, კომპანიას ფიქტიურად ყიდულობდა საგანგებოდ შერჩეული პირი, რომელიც დაავადებული იყო უკურნებელი სენით, ან იყო აბსოლიტურად უპოვარი. შესაბამისად, საგადასახადო სამსახურს არ ჰქონდა თანხის ამოღების არანაირი შესაძლებლობა.

ამ დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, შპს „ტექნოტექსის" წარმომადგენლებმა ლევან აბდალაძემ და რამაზ ძნელაძემ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოყოფილი 3 100 000 ლარიდან მიითვისეს 500 000 ლარი, შემდგომში კი კომპანია, რომელსაც დაუგროვდა 600 ათასი ლარის საბიუჯეტო დავალიანება, კონსტანტინე ბოგვერაძის, ადვოკატების გრიგოლ ხმელიძის და ზვიად გადელიას დახმარებით, ფიქტიურად გადააფორმეს მძიმე ავადმყოფ მურმან ცერცვაძეზე. შედეგად ბიუჯეტს მიადგა 1 100 000 ლარის ზიანი.

წინასწარი ინფორმაციით, ამ ჯგუფის მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებულია სულ 5 700 000 ლარის ზიანი. საქმეზე გამოძიება გრძელდება.

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

ჯემალ და მანანა აჯიაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამის

დავით აჯიაშვილის

გარდაცვალებას.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს ჯემალ აჯიაშვილს მამის

დავით აჯიაშვილის

გარდაცვალების გამო.

თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის №1 სტომატოლოგიური კლინიკის კოლექტივი ღრმა სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ლია სანოძეს მამიდაშვილის, ღირსეული პიროვნების

ანდრო თოფურიას

მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## სულიერება

# ჯვართამაღლება

**27 სექტემბერს მთელი მართლმადიდებლური სამყარო და საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია თაყვანს სცემს და დღესასწაულობს მსოფლიო ამაღლებას პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა.**

...ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე დიდის დედამ, კეთილმსახურმა დედოფალმა ელენემ, განიზრახა იმ ჯვრის მოძებნა, რომელზეც იესო ქრისტე გააკრეს და საგანგებოდ გაემგზავრა იერუსალიმში, მას უთხრეს, რომ ეს ჯვარი ჩაფლულია მიწაში და ზედ წარმართთა ტაძარია აშენებულიო.

დედოფლის ბრძანებით ტაძარი დაშალეს, გათხარეს და ნახეს სამი ჯვარი და პატარა ფიცარი, რომელზეც ეწერა: „იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათა“.

იმის გასაგებად, თუ რომელი იყო ცხოველმყოფელი ჯვარი, სამივე ჯვარი რიგ-რიგობით შეახეს მიცვალებულს; ორი ჯვრით სასწაული არ მოხდა, მესამე ჯვრის შეხებით კი მიცვალებული აღსდგა... ასე ამოიტანეს უფლის ჯვარი... აამაღლეს იგი!

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: ჯვარი არის ჯოჯოხეთიდან ჩვენი გამოხსნის, სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლო, ჩვენი გადარჩენის იარაღი.

თბილისის ჯვართამაღლების სახელობის ტაძარში განსაკუთრებული ზეიმით ჩაატარებენ წირვა-ლოცვას მღვდელ-მსახურნი.



**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი

## 25 სექტემბერი

**წინა შაბათი ჯვართამაღლებისა წარგზავნა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობის დღესასწაულისა; გიორგი ჭყონდიდელისა, დავით აღმაშენებლის მოძღვრისა, მწიგნობართუხუცესისა (1118წ; მღვდელმოწამისა დოსითეოზ თბილელისა (1795წ; მღვდელმოწამისა ავტონომოსი, იტალიელი ეპისკოპოსისა (313წ; მოწამისა იულიანესი და მისთანა 40-თა მოწამეთა (IVწ; მოწამისა თეოდორე ალექსანდრიელისა; მღვდელმოწამისა კორნუტისა, ნიკომიდიელი (იკონიელი) ეპისკოპოსისა (IIIწ.**



ამოდის 05.49
ჩადის 17.57



ამოდის 17.35
ჩადის 05.46

### დაიბადნენ:

**1866 – ტომას ჰანტ მორგანი,** ამერიკელი ბიოლოგი, გენეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1945 წელს.

**1881 – ლუ სინი,** ჩინელი მწერალი, თანამედროვე ჩინური ლიტერატურის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1936 წელს.

**1897 – უილიამ ფოლკნერი,** ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1962 წელს.

**1906 – დმიტრი შოსტაკოვიჩი,** გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1975 წელს.

**1934 – გაიოზ ჟორდანია,** თეატრალური რეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი.

**1951 – პედრო ალმადოვარი,** ესპანელი რეჟისორი და სცენარისტი.

### გარდაიცვალნენ:

**1849 – იოჰან შტრაუსი,** ავსტრიელი კომპოზიტორი, მევიოლინე და დირიჟორი. დაიბადა 1804 წელს.

**1970 – ერიხ მარია რემარკი,** გერმანელი მწერალი. დაიბადა 1898 წელს.

### მოვლენები:

1493 – კოლუმბმა ამერიკისკენ მეორე მოგზაურობა დაიწყო.

1513 – ესპანელმა კონკისტადორმა ვასკო ნუნიეს დე ბალბოამ წყნარი ოკეანე აღმოაჩინა.

1818 – ლონდონის ჰოსპიტალში პირველი წარმატებული სისხლის გადასხმა განხორციელდა.

1888 – გაიხსნა ლონდონის სამეფო თეატრი.

1995 – მიმოქცევაში გამოვიდა ეროვნული ვალუტა – საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ბილეთები (ლარი).

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**აშშ** – წყნარი ოკეანის დღე.

**რუანდა** – ნაციონალური ასამბლეის დღე, რეფერენდუმის დღე, მთავრობის დღე.

**მოზამბიკი** – შეიარაღებული ძალების დღე.

**მედიანიუსი**

## მეგობრობა



ისევ ეწვია წითელფეხება მტრედი ნიკოლოზ ტაბატაძეს და მშვიდობიანი დილის გათენება აუწყა, სამაგიეროდ კი ნიკოლოზისგან ხელისგულზე დაყრილი მზესუმზირის აკენკვა დაიმსახურა.

უკვე კარგა ხანია შეეჩვია მზესუმზირის გამყიდველ პენსიონერს ღვთის ფრინველი, ისიც, რა საკითხავია, მზესუმზირას, თუნდაც „უფასოდ“, როგორ დაიშურებს მისთვის... ჰოდა, მეგობრობენ...

ბორის ჭითანავას ფოტო.

## ინფორმაცია

# გარემოს დაბინძურებისთვის ზომები გამკაცრდა

**გარემოს დაცვის ინსპექცია დაბინძურებისთვის მკაცრი ზომების გატარებას იწყებს. როგორც დღეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გოგა ხაჩიძემ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული წესები სრული დატვირთვით ამოქმედდება, რაც დანაგვიანებისთვის ფინანსური სანქციების გატარებას ითვალისწინებს.**

ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გზებზე, მდინარეებში, პარკებში, სპორტულ მოედნებზე, ავტოსადგომებთან, ბაზრებთან ან სხვა ადგილებში დაყრის, ნაგვის გატანის და დასუფთავების წესების დარღვევის შემთხვევაში, ფიზიკური პირები 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირები, დაწესებულებები და ორგანიზაციები 1000 ლარით დაჯარიმდებიან. განმეორებით შემთხვევაში, გარემოს დაბინძურება, ფიზიკური პირის 500 ლარით, იურიდიული პირის კი – 3 000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს.

გარემოს დაცვის ინსპექცია დაბინძურებისთვის მკაცრ ზომებს გაატარებს და დასუფთავების წესების დარღვევაზე კონტროლს მთელი საქართველოს მასშტაბით გააძლიერებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**იყიდება სასწრაფოდ!**

**ბინა ატენის ქუჩაზე (ვაკე)**

**საუკეთესო ფართობი (180 კვმ.) საუკეთესო ადგილზე, გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616.**

**აგარაკი ტაბახმელაში**

**თანამედროვე სააგარაკო შენობა, ყველანაირად კეთილმოწყობილი, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 899 24 17 71, 899 537 616 ან 899 16 93 57.**

## კადრი



**რეკლამა**

**„საქართველოს რესპუბლიკაში“**

**99-62-77; 899 32-85-76.**

## ანეკდოტები

– რა აერთიანებს სექსსა და ავიაციას? – ეკითხებიან სომხურ რადიოს.

– უსაფრთხოება და რეგულარობა.

* * *

– ქალიშვილო, გინდათ, რომ ერთი კოცნის საფასურად გითხრათ, ვის გაჰყვებით ცოლად?

– მინდა.

– მამაკაცს.

* * *

– მეთაურო, მართალია, რომ ადრე მფრინავი-გამომცდელი იყავით?

– მართალია.

– და მაინც რა გამოსცადეთ?

– ძირითადად – მატერიალური სიდუხჭირე.



დიმიტრი მედვედევმა პოლიციელებს ურჩია, დაკავებულებს ცემის წინ წაუკითხონ თავიანთი უფლებები.

* * *

ცნობილ მომღერალს შეუყვარდა საწინააღმდეგო სქესის ქალი.

* * *

– ხომ ვერ მეტყვით, როგორ გარდაქმნიან რუსეთში მილიციას პოლიციად?

– ამბობენ, რომ გაათავისუფლებენ ყველა დებილსა და მექრთამეს.

– მერე ვინ დარჩება?

* * *

გონიერი ადამიანი (ჰომო საპიენსი) ასი ათასი წლის წინათ გაჩნდა. რომ ვუყურებთ, თუ რას აკეთებენ დღევანდელი მოქალაქეები, სურვილი გვიჩნდება, ვკითხოთ მეცნიერებს: ჯერ კიდევ მივეკუთვნებით მას?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.